# საერთო გაზეთი

№46 (504) • 19 დეკემბერი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის სიტყვა, წარმოთქმული ინაუგურაციაზე (2018 წ. 16 დეკემბერი, ქ. თელავი)

მოგესალმებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარევ,

მოგესალმებით, უწმინდესო და უნეტარესო, ჩვენი ერის სულიერო წინამძღოლო,

მივესალმები პატივცემულ სტუმრებს,

მივესალმები მთელ საქართველოს, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს!

მოგესალმებით, საზღვარგარეთ მცხოვრებო თანამემამულეებო, მეტადრე თქვენ, ვინც საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამობრძანდით და ახლა ჩვენთან ერთად ხართ. განსაკუთრებული ემოციით მოგესალმებით თქვენ, პირველი ემიგრაციის შთამომავლებო!

ძალიან ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავს ვზეიმობთ, მე, ემიგრაციაში დაბადებული, გავხდი საქართველოს პრეზიდენტი.



ამით შეიკრა ერთგვარი წრე: რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსევისა და საბჭოთა ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი, დღეს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლობის დამცველად და უმაღლეს მთავარსარდლად ვბრუნდები.

დღეს, როგორც მრავალჯერ თავისი ისტორიის განმავლობაში, საქართველო ისევ გზაჯვარედინზეა, — კიდევ ერთხელ ვდგავართ დიდი გამოწვევების წინაშე. აქ, თელავში, კარგად ჩანს ჩვენი განვლილი გზა — ბრძოლებით, გამოწვევებითა თუ წარმატებებით. ეს ადგილი ქართველი ერისთვის, ერთგვარად, ისტორიული მეხსიერების ბარათია:

მეფე ერეკლე იბრძოდა ქვეყნის განვითარებისა და ერთიანობისთვის. მან შექმნა თანამედროვე ქართული ჯარი და გაიმარჯვა არაერთ ბრძოლაში. იგი საფუძველს უყრიდა ევროპული ყაიდის სახელმწიფოს.

აქ, თელავში, დაიმსხვრა მეფე ერეკლეს გეგმები, რომლებიც უკავშირდებოდა თანამედროვე სახელმწიფოს შექმნას, ახალი სტანდარტების დამკვიდრებას, ქვეყნის ევროპულ გზაზე დაყენებას.

აქ შეჩერდა ჩვენი ქვეყნის განვითარება, — საქართველოს ჩაუკეტეს გზა დამოუკიდებელი, ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ. ეს ბევრმა მიზეზმა განაპირობა, მათ შორის, მტრის განზრახვამ.

თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენით დავუბრუნდით ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას, დღეს ჩვენს წინ ისევ გადამწყვეტი ეტაპია.

თელავიდან კარგად ჩანს გასავლელი გზა. ქვეყნის გაერთიანება, საზოგადოების დამშვიდება, გაძლიერება და ევროპაში ჩვენი ადგილის დამკვიდრება — ეს არის ჩემი უმთავრესი მიზანი.

ჩვენ წლები დავკარგეთ პოლიტიკურ დაპირისპირებაში. მე, პირველ რიგში, თავად მივცემ მაგალითს ჩემს თანამოქალაქეებს და დავარწმუნებ მათ, რომ საქართველოს განვითარებისა და გამთლიანებისთვის ეროვნული თანხმობა არის არსებითად მნიშვნელოვანი.

მე გადავწყვიტე, დღეს აქ ჩამოვსულიყავი, აქ დამედო ფიცი და აქედან მიმემართა ფართო საზოგადოებისთვის, სწორედ იმ ადგილიდან, სადაც დამაკლდა მხარდაჭერა.

მადლიერი ვარ მათი, ვინც ხმა მომცა არჩევნებში. მადლიერი ვარ „ქართული ოცნების“, რომელმაც, როგორც პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს, მხარი დამიჭირა და ამით დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა.

პატივს ვცემ მათ, ვინც ხმა არ მომცა. ისიც ვიცი, რომ სხვადასხვა პარტიას აქვს განსხვავებული პოზიცია, თუნდაც, ჩემი პრეზიდენტად აღიარებასთან დაკავშირებით.

თუმცა, დღეიდან, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით ვიღებ პასუხისმგებლობას, ვიყო ყველას პრეზიდენტი, ყველა საქართველოს მოქალაქის პრეზიდენტი. ეს დემოკრატიის მთავარი პრინციპია. ამ პასუხისმგებლობასა და ცნობიერებაზე დგას თანამედროვე სახელმწიფო.

მე დავიცავ მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, ვიქნები კანონის უზენაესობის გარანტი; ვიზრუნებ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ სამოქალაქო საზოგადოება და ავამაღლოთ პოლიტიკური კულტურა.

საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევაში მნიშვნელოვანი პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია თითოეულ მოქალაქეს, თავისუფალ მედიასა და არასამთავრობო სექტორს.

დღეს, როდესაც გავხდი საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი, ვამაყობ იმით, რომ ჩვენ შევძელით პრეზიდენტის თანამდებობის გადაბარება მშვიდობიანი და ცივილიზებული ფორმით. ამით კიდევ ერთი დემოკრატიული ნაბიჯი გადაიდგა.

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის გზაზე ყველა პრეზიდენტმა თავისი აგური დადო:

ერთი საუკუნის წინ, პირველი რესპუბლიკის მეთაურებმა იმ დროისთვის თანამედროვე და პროგრესული კონსტიტუცია მიიღეს;

უდიდესი როლი ითამაშა ზვიად გამსახურდიამ, როცა დანიშნა რეფერენდუმი და მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი;

ედუარდ შევარდნაძემ პირველმა გაჭრა გზა ევროპული და ევროატლანტიკური სივრცისკენ;

მიხეილ სააკაშვილმა თავისი მმართველობის საწყის ეტაპზე საფუძველი ჩაუყარა არაერთ მნიშვნელოვან რეფორმას;

გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გადაიდგა ნაბიჯები დემოკრატიული პროცესის გაძლიერებისკენ, გამყარდა სტაბილურობა.



ჩემი მიზანია, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარება, მისი ევროპული მომავალი გახდეს შეუქცევადი და ვერაფერმა ვერ შეაფერხოს ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევა.

სახელმწიფოს განვითარების გზა გადის გაძლიერებულ და გაცოცხლებულ რეგიონებზე. ვფიქრობ, ნიშანდობლივია, რომ დღეს პრეზიდენტის ინაუგურაცია ტარდება არა ქვეყნის დედაქალაქში, არამედ ერთ-ერთ რეგიონში, კახეთში, და ეს ჩემი არჩევანია.

თანამედროვე, ევროპული ტიპის სახელმწიფო გულისხმობს რეგიონებისა და დედაქალაქის თანაბარ განვითარებას. საქართველოს საყრდენი ისტორიულად ყოველთვის

2 გვ. →



← 1 გვ.

იყო მისი მხარეები და მათი სიძლიერე. ჩვენ შეგვიძლია, ეს ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე ევროპული მაგალითი შევაჯეროთ.

საქართველოს რეგიონებში არის ძალიან დიდი პოტენციალი, ამიტომ ჩვენ მათ უნდა მივცეთ მაქსიმალური შესაძლებლობები წინსვლისთვის და გავუხსნათ ახალი პერსპექტივები.

ჩემი, და დარწმუნებული ვარ, თითოეული ქართველის ოცნებაა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რაც შეიძლება მეტი ემიგრანტი დაუბრუნდეს თავის სოფელს, მიტოვებულ სახლ-კარს.

ეს არის საქმე, რომელსაც სჭირდება ძალიან დიდი ძალისხმევა, მუდმივი ურთიერთობა რეგიონებში მცხოვრებ ხალხთან. ისევე, როგორც დღეს ვარ აქ, თელაველებთან, მე ჩავალ ყველა რეგიონში, ვიქნები ჩემს ხალხთან!

ქართული საზოგადოება ერთიანია ევროპული მომავლის საკითხის გარშემო. ჩემი არჩევითაც ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ ხმა მისცა ევროპულ გზას.

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებამ, უვიზო მიმოსვლამ ძალიან დიდი პერსპექტივები გაგვიხსნა.

დასავლელი მეგობრებისგან, პარტნიორებისგან მტკიცე მხარდაჭერა გვაქვს.

ეს პროცესი კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს. ახალ კონსტიტუციაში ასახულია ქართველი ხალხის ნება — საქართველოს შეუფერხებელი სვლა ევროკავშირისა და ნატოსკენ. მე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპელი მეგობრების დახმარებით ხელს შევუწყობ ამ პროცესს. ამისათვის გამოვიყენებ მთელ ჩემს გამოცდილებასა და კონტაქტებს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროკავშირში.

ჩვენ თანამიმდევრულად გავაგრძელებთ მიზნისკენ სვლას, ღირსეულად გავუმკლავდებით შიდა თუ გარე გამოწვევებს, ბოლომდე მივიყვანთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეფორმებს, კიდევ უფრო გავაძლიერებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება ჩვენი ამოცანაა.

ჩვენ ევროპაში უთუოდ შევალთ, და უნდა შევიდეთ ჩვენი ღირებულებებით, იდენტობით, კულტურით.

ქართველებს შეგვიძლია, მსოფლიოს გამოვადგეთ უძველესი, მდიდარი, თვითმყოფადი კულტურით, რომელიც ქრისტიანობაზე დგას. ქართულ ცივილიზაციას თამამად შეუძლია, დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში.

ჩვენი იდენტობა, ისტორიულად, ტოლერანტობაში ვლინდება. სხვადასხვა წარმოშობის, მრწამსის ადამიანებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში მოგვყვება. საქართველო თუნდაც იმით არის ცნობილი, რომ აქ არ არსებობს ანტისემიტიზმის არც ერთი მაგალითი. ტოლერანტობა არის ის, რაც დღეს, გარკვეულწილად, დააკლდა მსოფლიოს. ჩვენ ეს ტრადიცია ისე უნდა გავაძლიეროთ, რომ გავხდეთ მაგალითის მიმცემი. უნდა გავზარდოთ ქართული კულტურისა და იდენტობის ცნობადობა საერთაშორისო არენაზე.

კულტურა არის ის, რაზეც დგას სახელმწიფო! ამ მხრივ ძალიან ძლიერი საძირკველი გვაქვს. მას სჭირდება დაცვა, ყოველდღიური ზრუნვა და განვითარება. კულტურას მე ჩემს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ვაცხადებ.

კულტურა განათლების გარეშე არ მოიაზრება და მინდა აქ ყველა პედაგოგს, მასწავლებელს ჩემი პატივისცემა გამოვუცხადო, რამეთუ ისინი ზრდიან ჩვენს შვილებს, ანუ ქმნიან ჩვენს მომავალს.

მე ვარ პირველი ქალი პრეზიდენტი საქართველოს ისტორიაში.

ჩემი პრეზიდენტად არჩევით ჩვენ ვაგრძელებთ ტრადიციას: უფრო შორს რომ არ წავიდეთ, 100 წლის წინ, დემოკრატიული საქართველოს არჩევნებში ქალები თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ, — არჩეულ იქნა 5 ქალი პარლამენტარი. ეს ევროპაში მაშინ იშვიათობა იყო!

დღესაც, ვდგამთ პროგრესულ ნაბიჯს. ეს არის ნაბიჯი, რომელიც ჯერ კიდევ გამონაკლისია მსოფლიოში, სადაც მხოლოდ 11 ქალია პრეზიდენტი. ამით ვამტკიცებთ, რომ საქართველოში ქალების როლი ძლიერდება და თანასწორობა ჩვენთვის უცხო სიტყვა არ არის.

საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დგას. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. არსებობს საოკუპაციო ხაზი, რომელიც შემოდის ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში და საიდანაც ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ. ეს სუვერენული სახელმწიფოსთვის მიუღებელია. ჩვენ ამას არ შევეგუებით!

ჩვენს მოსახლეობას სჭირდება მეტი ყურადღება და გაზრდილი უსაფრთხოება. ამ მიმართულებით უფრო მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ პარტნიორებთან და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან.

უსაფრთხოების უფრო მაღალი დონის მისაღწევად გვჭირდება მეტი თანამშრომლობა ნატოსთან. შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერება ასევე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ამ კუთხითაც მეტი, ძლიერი მხარდაჭერა გვჭირდება.

მე აქტიურად ვიქნები ჩართული ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან მოლაპარაკებებში, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობა დამოკიდებულია ჩვენი სამხედრო ძალების პროფესიონალიზმზე, მზადყოფნაზე, თანამედროვე აღჭურვილობაზე, მტკიცე სახელმწიფოებრივ ცნობიერებაზე.

მე ვუცხადებ სრულ ნდობას საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. გამოვხატავ პატივისცემას ჩვენი ჯარისკაცებისა და ვეტერანების მიმართ. მინდა იყოთ დარწმუნებული, რომ მთლიანად ვიქნები ჩართული შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. ჯარის გაძლიერება და ქვეყნის დაცვის უზრუნველყოფა არის ჩემი მიზანი.

როგორც მთავარსარდალმა, აუცილებლად უნდა განვაცხადო, რომ ჯარის იდეოლოგიური და პოლიტიკური ნიშნით დაყოფის მცდელობები, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში, არის სრულიად მიუღებელი. ეს აზარალებს სახელმწიფოს და აძლიერებს მტერს.

მე ჩავალ ავღანეთში ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცებთან, რომლებიც ღირსეულად და ზოგჯერ სიცოცხლის ფასად იბრძვიან ჩვენი პარტნიორების გვერდით. ისინი ებრძვიან გლობალურ საფრთხეებს, რომელიც ემუქრება მშვიდობას მსოფლიოში, რეგიონში და ჩვენს ქვეყანაში.

მშვიდობა და სტაბილურობა არის უმთავრესი პირობა კაცობრიობის წინსვლისთვის. მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია სჭირდება არა მხოლოდ რეგიონს, არამედ მთელ მსოფლიოს. საქართველომ უნდა გააძლიეროს თავისი პოზიცია კავკასიაში. ჩვენ შეგვიძლია ამ რეგიონში ჩვენი ისტორიული როლის დაბრუნება და ამ პასუხისმგებლობის აღება!

რუსეთმა, როგორც კავკასიის მეზობელმა, უნდა გააცნობიეროს, რომ თუ მას საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვან წევრად ყოფნა სურს და ამ რეგიონში ნორმალური ურთიერთობების აღდგენას აპირებს, უნდა დაამტკიცოს, რომ სიტყვიერადაც და ფაქტობრივადაც აღიარებს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას. ეს აუცილებელია მის მეზობლებთან თანასწორი და მშვიდობიანი კავშირების დასამყარებლად.

საქართველო მდებარეობს რეგიონში, რომელიც მსოფლიოსთვის საინტერესო ეკონომიკური პროექტების განხორციელების შანსებს იძლევა. ჩვენ უნდა გავხდეთ ამ რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კერა და ამით გავზარდოთ ქვეყნის მიმზიდველობა.

ამისათვის გვჭირდება რაც შეიძლება მეტი ინიციატივა და ინოვაცია. ეს არის ახალგაზრდების დანიშნულება და მოვალეობა ქვეყნის წინაშე და წარმოადგენს რეალურ პერსპექტივას მომავალი თაობისთვის. მთელი ჩემი ძალებით მზად ვარ, გვერდით დავუდგე მათ, ერთად მოვიზიდოთ ინვესტიციები და ხელი შევუწყოთ ახალი იდეების განხორციელებას.

ჩვენი საზოგადოების გაძლიერებისთვის უმნიშვნელოვანესია სოლიდარობა, — პირველ რიგში, თაობათა შორის სოლიდარობა, რაც ისტორიულად გვახასიათებდა. ეს არ უნდა დაიკარგოს.

ასევე, სოციალურ სოლიდარობაზე დგას ძლიერი სახელმწიფო. იქ, სადაც არის თანაგრძნობა, ერთმანეთის გატანა, მხარდაჭერა, არის სტაბილურობა და იხსნება ყველა გზა წინსვლისკენ.

სოლიდარობა ნიშნავს იმას, რომ გვახსოვს და გვერდით ვუდგავართ ყველას, ვისაც თანადგომა სჭირდება: სოციალურად დაუცველებს, მარტოხელა დედებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს.

მე ვიქნები ჩვენი დევნილების გვერდით. მე კარგად ვიცი, რაზე დგას მათი ოჯახები — ძალიან დიდ მოთმინებაზე, სიმტკიცეზე და იმედზე! და ეს იმედი გვაერთიანებს!

მჯერა, რომ საქართველო გამთლიანდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენი მოქალაქეები არიან, და ისინი უნდა შემოვირიგოთ. ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან გავლილი გზა გვაერთიანებს, ერთმანეთის ნათესავები ვართ, შერეული ოჯახები გვყავს! უნდა მოვნახოთ ახალ თაობასთან მისასვლელი გზები და მათ გავუკვალოთ გზა ევროპისკენ. დღეს, როგორც არასდროს, აფხაზურ ენასა და იდენტობას დაცვა სჭირდება!

ჩვენს ქვეყანას სჭირდება დამშვიდება და განვითარება. ჩვენ გვაქვს ძლიერი ადამიანური რესურსი, გვაქვს ეკონომიკური პოტენციალი, მოდის შესანიშნავი, ნიჭიერი თაობა. მთავარია, დავრწმუნდეთ საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში და ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს მომავალზე. მე ჩამოვედი, მე დავბრუნდი იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის მჯეროდა და მჯერა! ჩვენ უნდა გვჯეროდეს საქართველოს მომავლის! დამოუკიდებელი, ძლიერი, თავისუფალი, თანამედროვე, ევროპული, ღირსეული ქვეყანა — ეს არის საქართველოს მომავალი!

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# მოღალატეთა პარპაში, ანუ ვინ და რატომ დაპატიჟეს სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციაზე?!



თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში „ქართულმა ოცნებამ“ წაიფორთხილა, შეიქმნა საშიშროება, რომ „ნაციონალები“ ერთ სახელისუფლებო შტოს ხელში ჩაიგდებდნენ და ამას შემდგომში მოჰყვებოდა პრობლემების ესკალაცია. ხალხოსნურ ენაზე რომ ვთქვათ, კაი გვარიანად აირეოდა მონასტერი. ჩვენ ეს არ დავუშვით, მთელი საქართველო დავდექით ფეხზე და გზა გადავუკეტეთ ბოროტებას. ახლა „მიშმაკები“ ამტკიცებენ, ჩვენ 800 ათასი ადამიანი გვიჭერს მხარს, სერიოზული ძალა ვართ, ნება იბოძეთ, ანგარიში გაგვიწიეთ, სალომეს პრეზიდენტობა გააუქმეთ და ჩვენი გრიგოლის ძლევამოსილება აღიარეთო, თქვენი არჩევნები ყალბიაო. ამ შემთხვევაში, მე სრულად ვეთანხმები „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერს, ირმა ინაშვილს, რომელიც აცხადებს, რომ „ნაციონალების“, ანუ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის მიერ მოთრეული და ცესკოს მიერ ოფიციალურად დამტკიცებული 740 ათასი ხმა არის ყალბი და გამოგონილი. დიახ, მე კარგად ჩავიხედე ამ საკითხში და ასევე ვაცხადებ, ეს გახლავთ ყალბი ციფრები. ადრეც მოვუწოდე „ქართულ ოცნებას“ და კიდევ გავიმეორებ: „ნაციონალებმა“ არჩევნები გააყალბეს თითქმის ყველა ქალაქში, ყველა რაიონში და ყველა სოფელში, ასევე ყველა რგოლში, დააშინეს და დააშანტაჟეს ლამის ნახევარი საქართველო. ვინაიდან, ცენტრალური საარჩევნო კომისიაც გადატენილია მათი „პადელნიკებით“, იქაც ადგილი ჰქონდა დიდ ოღრაშობას!

ჰოდა, ასე იყო თუ ისე, ჩვენ არ დავუშვით ბოროტების დაბრუნება... თუმცა, ილია ჭავჭავაძისა არ იყოს, რა გითხრათ, რით გაგახაროთ? სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციამდე ორი დღით ადრე მოხდა გაუგონარი რამ – ვითომ ჟურნალისტ ელისო კილაძეს და ვინმე მოპოეტო ელემენტ მიხეილ ღანიშაშვილს გაუგზავნეს ოფიციალური მოსაწვევები. კილაძე რა წარმონაქმნიცაა, იცით, ის წლების განმავლობაში აწარმოებს ცილისმწამებლურ კამპანიას „რუსთავი 2“-თან ერთად „ქართული ოცნებისა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ, არანაკლებ ზიზღიანობით გამოირჩევა სალომე ზურაბიშვილის მიმართაც და უწოდებს მოღალატეს. რაც შეეხება ვინმე ღანიშაშვილს, მისი არსებობის შესახებ არც კი ვიცოდი (გნებავთ გაუნათლებლობაში ჩამითვალეთ), ახლა გავიგე, „დავგუგლე“ და აი, ეს ამომიგდო:

„ძაღლ იყოს იმის მკვდრისა-და, ვინაც სალომეს ხმა მისცას, გაუბედურდეს ცხოვრებით, მისი სახლ-კარი დაიქცას“!

დიახ, თურმე მწერალსა და პოეტს, მიხეილ ღანიშაშვილს (ილტოსპირელს) სალომე ზურაბიშვილისთვის ლექსიც მიუძღვნია, რომელიც არაერთ გამოცემაში გამოქვეყნებულა. სანამ ილტოსპირელის „შედევრს“ შემოგთავაზებთ, ერთი ამბავი უნდა გავიხსენო: როცა ჯაბა იოსელიანი ცოცხალი იყო, მისთვის პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს უკითხავს, ამა და ამ კანონიერ ქურდს იცნობო? ჯაბა დაფიქრებულა... არა, არ ვიცნობ და ისეთი ქურდის დედა, მე რომ არ ვიცნობო. ჰოდა, თითქმის იგივეს გავიმეორებ – ისეთ მწერალსა და პოეტს დააფსას თავზე ელისო კილაძემ, მე რომ არ ვიცნობ! მეტიც, კობა ხაბაზმა და მეგი გოცირიძემ დამატებით დააფსან თავზე, საქართველოში ცნობილი და უფრო სტაჟიანი პოეტები რომ არ იცნობენ!

ახლა კი დავუბრუნდეთ ღანიშაშვილის „შედევრს“, რომელმაც საქართველოს მმართველი პარტიიდან დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო, ანუ მიწვევა სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციაზე. სათაური გახლავთ „მოღალატე“:

**„ძაღლ იყოს იმის მკვდრისადა,**
**ვინაცა სალომეს ხმა მისცას,**
**გაუბედურდეს ცხოვრებით,**
**მისი სახლ-კარი დაიქცას!**
**სიცოცხლე აღარ ეღირსოს,**
**ოდენ სიკვდილზე აიცრას,**
**ცრემლად მოექცეს ყოველი,**
**თუკი ფიქრობდეს რაც-რას!**
**მისი ჯიშ-გასაგისობა**
**უფალმა აღარ დაიცვას,**
**გაწყდეს, გათავდეს**
**შვილ-ძირით,**
**გეენის ცეცხლში დაიწვას!**
**წყევლა, კრულვა და გინება**
**იმ წელს, იმ დღესა და იმ წამს,**
**როცა ის დედას გაუჩნდა,**
**მისი აკვანი დაირწა!**
**შენა ხარ, ზურაბიშვილო,**
**ღალატად ითქმის რაიცა,**
**სამშობლოს გამამტყუვნარო,**
**სუნთქვაც ჩაგიწყდეს, ხმაიცა!**
**რუსის წისქვილზე**
**წყლის მსმხელო,**
**პუტინის ხასაც, ყმაიცა**
**ერთად ხარ,**
**კრემლის ერთგულო,**
**ის დროა, აქით გაიქცა.**
**ეხლა რო ხელისუფლება**
**ხელისუფლობდეს მაინცა,**
**ანდა ერი რო ერობდეს,**
**ცოტა გვწყალობდეს ცაიცა.**
**შენნაირ მოღალატისთვის**
**ციხეა ძმაიც, დაიცა,**
**ხაროში უნდა გგმანავდნენ,**
**წამებაში რო გაიცრა.**
**კრულ იყოს მისი სახელი,**
**ვინაც ღალატზე წაისწვრა,**
**გამყიდველს საქართველოსას**
**სიკვდილთან**
**ჰქონდეს ჟამის წვნა“!**

კარგად წაიკითხეთ? კარგად გააცნობიერეთ, რას წერს ეს ღვარძლი და ბალღამი, რომელიც ზურაბიშვილის ინაუგურაციაზე ოფიციალურად დაპატიჟეს? როგორც მეუბნებიან, ეს ფაქტი დიდი გარჩევის საგანი გახდა სამთავრობო კულუარებში და ასევე პარტია „ქართულ ოცნებაში“. ამავე პარტიის ბევრმა წამყვანმა ფიგურამ უარი თქვა თელავში წასვლაზე. იკვლევენ, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. ისე, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ წაიმარაზმა? ფაქტია, შიგნით ბევრი გველი გყავს ჩაბუდებული და სიტუაციას ვერ აკონტროლებ. აი, ეს გახლავთ მიკრო-სქემა, თუ როგორ წააგო საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური „ქართულმა ოცნებამ“. ამ შემთხვევაში არის კიდევ ერთი ვერსია, რომელსაც მე პირადად არ ვეთანხმები – ზოგიერთი „გამპრავებელი“ აცხადებს, რომ თურმე სალომე ზურაბიშვილი ყველას პრეზიდენტია და მოსაწვევების გაგზავნაშიც არაფერია საგანგაშო. კი, ბატონო, თუ „ყველას პრეზიდენტია“-ს პრინციპით მივუდგებით, მაშინ დაეპატიჟებინათ ყველა, რატომ მხოლოდ ელისო კილაძე და გიჟუა მიხეილ ღანიშაშვილი? რა დააშავეს ნოდარ მელაძემ, ნიკა გვარამიამ, ან ეკა კვესიტაძემ? რაც მთავარია, რა დააშავეს შენმა მომხრეებმა, რომლებმაც მეორე ტურში გადაგარჩინეს? არ ვლაპარაკობ მასაზე, მთელ მოსახლეობაზე, მაგალითად, რა დააშავა ამ გაზეთის რედაქტორმა ვახტანგ ხარჩილავამ, რომელიც ამბრაზურასავით ჰყავთ გადაფარებული და მეორე ტური თავის წილ მოიგო? მოდით, თავი დავანებოთ ყველას და ყველაფერს, ეს ფაქტი გახლავთ საბოტაჟის საუკეთესო ნიმუში – სადღაც ვიღაც რეგვენს აზრად მოუვიდა, მოსაწვევები გაეგზავნა საზოგადოებისთვის მიუღებელი პერსონებისთვის, რა გამოიწვია ამ ყველაფერმა? ის, რომ უკიდურესად გაღიზიანდნენ ის ადამიანები, რომლებიც ლამის შეაკვდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“. მათ დაინახეს, რომ „ქართული ოცნებისთვის“ მადლსა და უმადურობას ერთი ფასი ჰქონია და ისევ გრძელდება ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია. სხვათა შორის, მოგვიანებით გაჩნდა მორიგი ვერსიაც – ინაუგურაციაზე მისაწვევ პირთა სია გიორგი მარგველაშვილის პროტოკოლის სამსახურმა შეადგინაო, სალომე ახალია და ბუნებრივია, პროტოკოლის ახალი სამსახური ვერ ეყოლებოდაო. სრული იდიოტობა. ესე იგი, მარგველას ხალხმა ინაუგურაციაზე ბომბი რომ შემოგიგდოს, არ ამოწმებ, ხომ? იქნებ ბინ ლადენი დაგიპატიჟა, არ უნდა წაიკითხო? არ მჯერა ამ ვერსიის. ზოგიერთი იმასაც კი ამბობს, ეგ კარგია, უნდა დავპატიჟოთ ყველა, მოვიდნენ და გულები დაუსკდეთო. მე პირადად მრჩება შთაბეჭდილება, რომ სადღაც იქ, ზემოთ ვერ არიან თავიანთ მატორზე და კაი გვარიანად ურევენ სიტუაციას. ესე იგი, მტრის შემორიგებას ცდილობ



და ამ დროს კარგავ ასეულობით ათას მომხრეს? ან კი რა მტერი და რა ანგარიშგასაწევი ფიგურები არიან კილაძეები თუ ღანიშაშვილები?!

ისე, კარგად გალექსა დღევანდელი სიტუაცია ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა, რომელიც ადრე თავგადაკლული „ნაცი“ იყო (თუმცა ბოლო დროს მოვიდა აზრზე):

**„ხვალ თელავში ზეიმია,**
**სამზადისი – დიდიო,**
**მოსაწვევი თუ გინდა,**
**მელიასთან მიდიო“!**

აბა, მეტი რაღა უნდა გითხრათ, ჩემო ძვირფასებო? ალბათ, ბოლოს დაგებადებათ კითხვა: ნეტა შენ თუ დაგპატიჟეს ინაუგურაციაზეო? კი, დამპატიჟეს, დიდი მადლობა, მაგრამ ის შეცდომა, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, არ უნდა დაეშვათ. სადღაც გულში მაინც ვფიქრობ, ელისო კილაძის თემა სალომე ზურაბიშვილს განგებ შეუგდეს, რათა მის გარშემო გამოიწვიონ გულგატეხილობა და ხელჩაქნეულობა. როგორც ჩანს, მიზანი მიღწეულია. მთავრობის ადმინისტრაციია ხელმძღვანელმა, კახა კახიშვილმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, სტუმრრები პოლიტიკური ნიშნით არ შეგვირჩევიაო. ამ შემთხვევაში პოლიტიკა არაფერ შუაშია, აქ წინა პლანზე გამოდის მორალი – თუკი შენ ცილისმწამებელს საკუთარ თანამებრძოლთან აიგივებ, ათანაბრებ და მის გვერდით აყენებ, ის თანამებრძოლი შეურაცხყოფილი რჩება, ის აუცილებლად მიგატოვებს. გაიგეთ, ხალხო, სწორედ მორალისა და ამორლობის აღრევამ დაგვიდო პირველი ტურის შედეგი, ოღონდ ნაწილობრივ. ვიმეორებ – „ნაცებმა“ არჩევნების გაყალბების არნახული, უპრეცედენტო მაგალითი აჩვენეს. სხვათა შორის, ვინმე ღანიშაშვილმა განაცხადა, მე არ ვიცი, მოსაწვევი ვინ გამოწერა ჩემს სახელზე, მაგრამ ინაუგურაციაზე არ მივდივარო. აი, ისევ მორალთან მივდივართ, ის წავა თუ არა, ამას არ ქავს მნიშვნელობა, ამ გიჟუამ დაწყევლა თითქმის მთელი საქართველო. არა, ძველებისგან გამიგონია, წყევლა მაწყევარისააო, მაგრამ მაინც არასასიამოვნოა, ალბათ დამეთანხმებით.

**P.S.** მე არავის არაფერს წამოვაყვედრი. რამდენჯერაც საჭირო იქნება, იმდენჯერ გავილაშქრებ ბოროტების წინააღმდეგ და იმდენჯერ დავამარცხებ. ამ აზრზეა ყველა ჩემი ნაცნობ-მეგობარი. მე მხოლოდ იმას ვჩივი – როგორ უნდა გამოავლინონ ამდენი მოღალატე?!

და ბოლოს... ამ წერილს არ ვწერ პირადი განაწყენების ფონზე, უკვე გითხარით, მე დამპატიჟეს და იმის გამო, რომ მორალი და ამორალობა ერთ სიმაღლეზე დააყენეს, თავი შეურაცხყოფილად ვიგძენი და თელავში არ წავედი. არ ვიცი, შეიძლება არასწორად მოვიქეცი, შეიძლება ჩემი ადგილი აუცილებლად უნდა დამეკავებინა... შეიძლება სწორად მოვიქეცი... ამ წუთას სინდისმა როგორც მიკარნახა, ისე გადავწყვიტე.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „მშობლიურო ჩემო მიწავ...“

**გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:**

**— ბატონო ვაჟა, საკონსტიტუციო სასამართლომ 7 დეკემბერს მიწის უცხოელებზე გაყიდვაზე დაწესებული მორატორიუმი გააუქმა, რითაც მათ საშუალება მიეცათ მიწაზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში წარმოება განეახლებინათ. დღეის მდგომარეობით, საჯარო რეესტრში, 2500 განაცხადია შესული, რის უკანაც ათასობით ჰექტარი მიწის უცხოელზე გასხვისება იგულისხმება. როგორია ამ საკითხზე თქვენი მოსაზრება?**

— ეს თემა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან საქმე ჩვენს მიწებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ეხება. ამ ეტაპზე, საქართველოს განვითარების გზა ჩვენი ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი ყურადსაღები მახასიათებელია. ვიდრე ჩვენი ქვეყანა ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიდგენს და თავისუფალ ხალხთა თანასწორუფლებიანი ოჯახის ღირსეული წევრი არ გახდება, ვგულისხმობ, ევროკავშირს, მანამდე მიწის როგორც ჩვეულებრივი აქტივის განხილვა, დაუშვებელია. ამას ჩვენს სინამდვილეში გარკვეული ისტორიაც აქვს. აღარ მოვყვები თუ როგორ დაყოვნდა მიწის რეფორმა იმის გამო, რომ ამ პროცესს დამოუკიდებლობის პირველ წლებში გარკვეული კონტექსტი ჰქონდა. ბოლო პერიოდს თუ შევეხებით, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნისას ასეთი მიდგომა იყო — მიწა უნდა შევიდეს მიმოქცევაში და გაიყიდოს. უფრო მეტიც, უნდა გაიყიდოს ყველაფერი — მინდვრები, მდინარეები, მათი კალაპოტებიც კი, ჭალები და ა.შ. იყიდება ყველაფერი სინდისის გარდა — ასეთი იყო ხელისუფლების ერთ-ერთი წევრის კახა ბენდუქიძის პოზიცია, რაც ქვეყნის განვითარების ამ ეტაპისთვის, ჩემი აზრით, მიუღებელია. ამ ფაქტს საზოგადოებაში დიდი რეზონანსი მოჰყვა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ „ნაცმოძრაობის“ ზემოხსენებული მიდგომები უარყოფილი იქნა, მაგრამ ლიბერალური თეორიების მომხრეების გავლენა, მათ შორის, საქართველოში საკმაოდ ძლიერია. ეს გავლენა ძლიერი აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ისტებლიშმენტშიც. ამიტომაც იყო საუბრები იმაზე, რომ უნდა მომხდარიყო მიწების გასხვისება, რაც თითქოს, განავითარებდა სოფლის მეურნეობას, აგრალურ სექტორს, გამოიწვევდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას და ა.შ. მაგრამ ქართულ საზოგადოებაში პროტესტის დიდი მუხტის გამო „ქართული ოცნება“ იძულებული გახდა გონივრული გზით წასულიყო. განსაკუთრებით, ფასეულია სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრის, ამჟამად, პარლამენტის წევრის ოთარ დანელიას პოზიცია, რაც ამ თემასთან მიმართებაში სავსებით ადეკვატურია. „ქართული ოცნება“ იძულებული გახდა გარკვეული ცვლილებების პაკეტი მოემზადებინა, რომლის თანახმადაც უცხოელებზე მიწების გასხვისება აკრძალულია. მათზე ნებადართულია მხოლოდ ცალკეული მიწის ნაკვეთების გასხვისება თუ ამას თან ახლავს სწორი ინვესტიცია და კონკრეტული პროექტი. შესწორებების ეს ნაწილი კონსტიტუციაში პრეზიდენტის ინაუგურაციასთან ერთად 16 დეკემბრიდან შევიდა ძალაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს იდეალური ვარიანტი არ არის, ვფიქრობ, სოფლის მეურნეობის სავარგულების გასხვისებასთან დაკავშირებით ადეკვატურია. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 7 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება, რის თანახმადაც უცხოელებზე მიწის გაყიდვის მორატორიუმი გაუქმდა, სავარაუდოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ამ ერთკვირიანი შუალედის პერიოდში თქვენს მიერ ნახსენები 2500 განაცხადის დაკმაყოფილება იგეგმებოდა. გამორიცხული არც ის არის, რომ ამ ხნის განმავლობაში რეესტრში რაიმე სხვა მნიშვნელოვანი განაცხადებიც შესულიყო და სხვა ფართობების დაკანონებაც მომხდარიყო. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ასეთი შესაძლებლობა შექმნა. ჩვენ, ქართული საზოგადოების წევრებმა ეს შესაძლებლობა გავაპროტესტეთ, რითაც მთავრობა ვაიძულეთ ყოველდღიურ რეჟიმში გაეკეთებინა განცხადებები, რომ უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაკანონება ამ კონკრეტულ პერიოდში არ მომხდარა. ასეთ დროს, როგორც წესი, საპროტესტო აქცია აზრს მოკლებული არ არის, რაც გაიმართა კიდეც საკმაოდ პატივსაცემი ადამიანების ხელმძღვანელობით. აქციაში მონაწილეობდნენ როგორც საზოგადო მოღვაწენი, ისე რიგითი მოქალაქეები. ბუნებრივია, არსებობენ მოდური აზროვნების ტყვეობაში მყოფი ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დღესვე, დაუყოვნებლივ, გასხვისება ქვეყნის აღმავლობას გამოიწვევს. ასეა თუ ისე, საზოგადოებამ შეძლო ხელისუფლება ეკონტროლებინა, რაც დემოკრატიის ერთ-ერთი მახასიათებელია. ნიშანდობლივია, რომ უცხოელებზე ხელაღებით, დაუყოვნებლივ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაყიდვის მოსურნე მეხოტბეები იმაზე არ საუბრობენ, რატომ არ მოიქცა ასე თუნდაც, ჩეხეთის ხელისუფლება, რომელმაც თავის დროზე, 10 წლით აკრძალა სასოფლო სამეურნეო სავარგულების უცხოელებზე გასხვისება იმ მოტივით, რომ მეზობელი გერმანელი ფერმერები ეკონომიურად და ფინანსურად გაცილებით ძლიერები იყვნენ და ისინი ჩეხ ფერმერებთან მიმართებაში არათანასწორ კონკურენტუნარიან პირობებში იქნებოდნენ ჩაყენებული და შედეგად, იძულებული გახდებოდნენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მათთვის მიეყიდათ. მსგავსი დამოკიდებულებაა პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებში. იგივე ხდება ახალ ზელანდიაში, სადაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ეკონომიკაა — უცხოელებზე მიწების გაყიდვა აქაც კატეგორიულად იკრძალება. მიწის უცხოელებზე გასხვისება აკრძალულია თურქეთშიც, სადაც 10 ჰექტარზე მეტ მიწას ვერაფრით შეიძენთ. ასეთი რამ დაუშვებელია. საქართველოში ლიბერალიზმის ოაზისის მოწყობა მაშინ, როცა ჩვენი სამეზობლოს ყველა წევრ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უცხოელებზე გაყიდვა აკრძალულია, დაუშვებელია. ვგულისხმობ, სომხეთს, აზერბაიჯანს, რუსეთს. თუ არ ვცდები ასეა უკრაინაშიც. ხომ უნდა დავფიქრდეთ, რას გამოიწვევს ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი — მეწინავეობას თუ ჩვენი ეროვნული ინტერესების ჩარეცხვას?! მიწა ჩვეულებრივი საბაზრო ურთიერთობების ელემენტი არ არის, არამედ საარსებო სივრცის ნაწილია. აქედან გამომდინარე, ამ საკითხისადმი განსაკუთრებით ფაქიზი დამოკიდებულება არის საჭირო. თუ მიწების გაყიდვას ვინმე იმით გაამართლებს, რომ ეს ქვეყანას ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს, მაშინ ამას შავი იუმორით შევხედავ და ვიტყვი: იგივენაირად შეგვიძლია ადამიანების ორგანოებით ვაჭრობას შევუწყოთ ხელი, ან ძალიან მომგებიანია სექს-ბიზნესი და მოდით, მის განვითარებასაც შევუწყოთ მაშინ ხელი ან იგივე, ნარკობიზნესი ვაწარმოოთ, რომელიც მთელს მსოფლიოში მომგებიანია. ამით იმის გამართლება, რომ ეს ეკონომიკას განავითარებს და იმის თქმა, რომ ამის გამო საარსებო სივრცის ნაწილს უნდა შევველიოთ, რასაც სასოფლო-სამეურნეო სავარგული წარმოადგენს, არ შეიძლება. ახლა, მთელ რიგ რეგიონებში მიწის ნაყოფიერი ფენის ვაჭრობით არიან დაკავებულნი. რიგ ქვეყნებს შეუძლიათ სულაც არ დაიპყრონ მეზობელი ქვეყანა — ვთქვათ, საქართველო. მათ შეუძლიათ აიღონ ჩვენი მიწის ნაყოფიერი ფენა, განათავსონ უნაყოფო ველზე და ამით გარკვეული კეთილდღეობა შეიქმნან. მაშინ გავყიდოთ ჩვენ მიწის ეს ნაყოფიერი ფენა. ამიტომ აქ, გონივრული მიდგომაა საჭირო. სხვათა შორის, ერთი რამაც მინდა ვთქვა: ასეთი გადაწყვეტილებები საყოველთაო გამოკითხვით უნდა მიიღებოდეს, იქნება ეს პლებისციტი თუ რეფერენდუმი, რადგან ეს მთელს საზოგადოებას ეხება და მხოლოდ პოლიტიკოსებს არ უნდა ჰქონდეთ საშუალება საკუთარი მოსაზრება თავს მოგვახვიონ. სამწუხაროდ, ხელისუფლებაც თვლის, რომ ეკონომიკის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე უპრიანია სასოფლო სამეურნეო სავარგულების გაყიდვა. მაშინ გავყიდოთ ყველაფერი. მაგრამ რატომ ხალხს არ ვეკითხებით რა სურთ?! ესეც ძალიან სიმპტომატურია და პოლიტიკოსების უპასუხისმგებლობაზე მიუთითებს.

**— როგორც ვიცით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ საჩივრდება. მაშინ გაუგებარია, რატომ გადაიდგა ასეთი ნაბიჯი ახალი კონსტიტუციის მიღებამდე 9 დღით ადრე?**

— რა თქმა უნდა, საეჭვო თემაა. არ არის გამორიცხული საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებაში გარკვეული ლობის მოქმედებას ჰქონოდა ადგილი.

**— ბატონო ვაჟა, 11 ათასი უცხოელი საქართველოში, ჯამურად, 50 ათას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობს ფლობს. როგორ ფიქრობთ, უნდა ამოქმედდეს თუ არა დროულად კანონიერი ექსპროპრიაციის ყველა მექანიზმი?**

— მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახა პოზიცია მაქვს, ასეთი ძალადობრივი ზემოქმედების მომხრე არ ვარ — რაც გასხვისებულია, იმის გამოსყიდვა შეიძლება, ჩამორთმევა — არა. იმიტომ, რომ ჩვენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს ვაღიარებთ და მესაკუთრის მიმართ ასეთი რევოლუციური მეთოდების გამოყენება ქვეყნის იმიჯს დააზიანებს. ამიტომ, ეს მიზანშეწონილი არ არის. შესაძლებელია გამოსყიდვა, მაგრამ ესეც არარეალურია, რადგან იმ გაყიდული და გასაყიდი მიწების უმრავლესობა, ფაქტობრივად, დაუმუშავებელია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ამოცანა მიწისთვის რაღაც საკრალური ფუნქციის მინიჭება არ უნდა იყოს. ჩვენ შეგვიძლია ასე გავაკეთოთ: მიწებს რომელთაც შეეცვალათ მესაკუთრე და ამჟამად, მესაკუთრე უცხოელია, შეგვიძლია მათ მიმართ საკანონმდებლო დონეზე შემზღუდავი გადაწყვეტილებები შევიმუშავოთ — ისინი დავავალდებულოთ, რომ ეს მიწა დაამუშაონ და მასზე დოვლათი შექმნან. ჩამორთმევა, წართმევა ან თუნდაც, არაადეკვატური საფასურის გადახდა, არარეალური მგონია. ამიტომ იყო ეს პროტესტი დროული და საზოგადოების სიმწიფის გამოცდა, რომ ფაქტობრივი დიალოგის დარღვევამდე უნდა იქნას შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებული, რადგან შემდეგ მესაკუთრესთან დაპირისპირება ძნელი იქნება. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ისინი მიწები დაამუშაონ და დოვლათი შექმნან..







თამარ შველიძე
555 23 28 24

# ვინ ამოხსნის საიდუმლოს, რომლის გამოც ფაშისტ სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდნენ?

**ვახტანგ ხარჩილავა:**

„ნაცმოძრაობის“ (ფსევდონიმი — გაერთიანებული ოპოზიცია) მხარდამჭერთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრიდან რამდენმა ადამიანმა იცის, სინამდვილეში, რაშია საქმე და რა იმალება ამ დემოკრატიის და თავისუფლების სახელით გაჟღერებული მაღალფარდოვანი და ვითომდა, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობით გაჟღენთილი მოთხოვნების და მოწოდებების უკან?

საერთოდ, რამდენმა ადამიანმა იცის საქართველოში, ვინ არიან ეს ლიდერები, ამ ლაშქარს რომ მიუძღვიან წინ და საით მიჰყავთ „რუსთავი-2“-ის ტვინების გამომრეცხავი მანქანის მიერ დაზომბირებული და დაჰიპნოზირებული ხალხი?

რატომ არავის არ უჩნდება ეჭვი, რომ ეს ლიდერები, გულუბრყვილოთა თვალის ასახვევად, ვითომდა, პროდასავლური ანაფორები რომ გადაუცვამთ, შეიძლება ახალი ყაიდის მღვდელი გაპონები იყვნენ? ამ გაპონების მეთაური, მთავარი გაპონი, გვარად სააკაშვილი, ამსტერდამიდან მოუწოდებს ექსტაზში ჩავარდნილ ლაშქარს, არ დაიღალონ, არ გაჩერდნენ, წინ იარონ!

წინ კი ხაფანგია, მახეა, განსაცდელია, თუმცა გაპონები საპირისპიროს უმტკიცებენ „მრევლს“...

●

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების II ტურმა მშვიდობიანად, განსაკუთრებული ექსცესების და დარღვევების გარეშე ჩაიარა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოპოზიცია მაინც არ ცნობს არჩევნების შედეგებს, არჩევნებს არალეგიტიმურად აცხადებს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას მოითხოვს.

გასაოცარი მოთხოვნაა თავისი ალოგიკურობით და არასერიოზულობით — თუ საპრეზიდენტო არჩევნები არალეგიტიმურად მიგაჩნია, მაშინ ამ არჩევნების შედეგების ანულირებას და ახალი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას უნდა მოითხოვდე და არა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც პრეზიდენტის არჩევასთან არანაირ ბმაში არ არის.

„ნაცმოძრაობისგან“ და მის კალთას შეყუჟული ე.წ. ოპოზიციური პარტიებისგან, აგრეთვე, მათი სატელიტი არასამთავრობოებისგან არაფერია გასაკვირი, მათ შორის არც ის, რომ არაფრად არ ჩააგდონ, ერთი კანდიდატი მეორეზე 20%-ით ანუ 300 000 ხმის უპირატესობით რომ გაიმარჯვებს, მაგრამ ამ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ნაწილს, წესით და რიგით, ობიექტურნი და მიუკერძოებელნი რომ უნდა იყვნენ, რა ემართებათ, შავზე შავის და თეთრზე თეთრის თქმა რომ უჭირთ?

სწორედ ამ საერთაშორისო ორგანიზაციების (მათი ნაწილის) ორჭოფულმა, ზოგჯერ ფარისევლურმა და დემაგოგიურმა დასკვნებმა მისცა საბაბი და მოტივაცია ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, არჩევნების არალეგიტიმურობაზე ელაპარაკათ და შედეგების ცნობაზე უარი განეცხადებინათ.

ერთ ორგანიზაციას ეყო თავხედობა და ისიც კი განაცხადა, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იყო ყველაზე ცუდი არჩევნები, რაც კი საქართველოში ჩატარებულაო.

სხვა არჩევნებს რომ თავი დავანებოთ, გავიხსენოთ თუნდაც 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა, სინამდვილეში, პირწმინდად წააგო ლევან გაჩეჩილაძესთან პაექრობაში, მაგრამ გრ. ვაშაძის ამჟამინდელი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის გიორგი ვაშაძის მეცადინეობით, მაშინ იმდენი ყალბი პირადობის მოწმობა დაიბეჭდა, იმდენი გაყალბებული ბიულეტენი ჩაიყარა საარჩევნო ყუთებში, იმდენი „კარუსელი დატრიალდა“ სააკაშვილის სასარგებლოდ, რომ დამარცხებული სააკაშვილი პრეზიდენტად გამოცხადდა, თუმცა საერთაშორისო დამკვირვებლების დაკვირვებულ თვალს ეს ყველაფერი რატომღაც შეუმჩნეველი დარჩა.

სააკაშვილმა არნახული თავხედობით და უტიფრობით, ფაქტობრივად, მიიტაცა პრეზიდენტის პოსტი, მაგრამ დემოკრატიის სადარაჯოზე ფხიზლად მდგარ საერთაშორისო თანამეგობრობას ამ ყაჩაღურ აქტზე, რომელსაც რატომღაც არჩევნები ერქვა, არავითარი რეაგირება არ ჰქონია.

ის კი არა, ამ ბანდიტობის შემდეგაც კარგა ხანს ეძახდნენ სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“, ხოლო საქართველოს — დემოკრატიის რეგიონალურ ოაზისს.

მერე რა, რომ ამ „ოაზისში“ უმოწყალოდ დახოცილი უდანაშაულო ადამიანების სისხლის ტბები იდგა და ციხეებში გამოკეტილი ათიათასობით ადამიანის სასოწარკვეთილი გმინვა ისმოდა, მაინც ოაზისს ეძახდნენ, ამ ოაზისის შემოქმედს კი — დემოკრატიის შუქურას.

ეს „შუქურა“ პრეზიდენტობის პოსტის მიტაცების შემდეგ 7 თვეში რუსეთთან ომში ჩაება.

რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებას ზემძლავრი სახელმწიფოებიც კი ერიდებიან, მაგრამ უშიშარ „შუქურას“ არ მორიდებია...

დღემდე ამოუხსნელ გამოცანად რჩება, რამ შეაგულიანა ბუნებით მხდალი სააკაშვილი და რამ გაალომგულა ასე, რომ უახლესი ტექნიკით აღჭურვილ რუსულ სამხედრო მანქანას, რომელიც მსოფლიოს შიშის ზარს სცემს, არ შეეპუა და ბრძოლაში შეჰყვა?

— პროვოკაციაზე წამომაგესო, — ამბობს დღეს სააკაშვილი, თუმცა აგვისტოს ომის წინა პერიოდს და უშუალოდ ომის დღეებში განვითარებული მოვლენების დეტალებს და ნიუანსებს თუ გავიხსენებთ, სააკაშვილის ქმედებები სულაც არ ჰგავდა პროვოკაციაზე წამოგებული კაცის ქმედებებს.

წინასწარ წაგებისთვის განწირული ბლიც-ომის შემდეგ, როცა რუსებმა თბილისისკენ გაიწიეს, რასაც შეიძლებოდა სააკაშვილის და მისი ხელისუფლების დამხობა მოჰყოლოდა („ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ელიტა უკვე გარბოდა საქართველოდან, აშშ-მა, ევროპის სახელმწიფოებმა განგაშის ზარს შემოჰკრეს — რუსეთს დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის და მისი ხელისუფლების დამხობა სურსო. როგორ დემოკრატიულად იყო „არჩეული“ სააკაშვილი, ამაზე ცოტათი ზემოთ მოგახსენეთ, თუმცა დემოკრატიაზე ფიქრისთვის ვის ეცალა — მთავარი იყო, „რიგითი“ სააკაშვილი გადაერჩინათ და მთელი ოთხი წლით, 2012 წლამდე გადაარჩინეს კიდევაც.

სააკაშვილი კი გადაარჩინეს, მაგრამ საქართველო გამესამედდა, დაიღუპა უამრავი ადამიანი, განადგურდა ინფრასტრუქტურა, ათიათასობით ქართველი ლტოლვილად და დევნილად იქცა, თუმცა სააკაშვილს ამაზე დიდად არც უნაღვლია — რა მოხდა, რაღაც 150 სოფელი დავკარგეთო, — განაცხადა.

●

**თქვენ როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველო, „ნაცმოძრაობის“ მიერ აკვიატებული და ათასჯერ გამეორებული ლოზუნგი სალომე ზურაბიშვილი მოღალატეა! სალომე ზურაბიშვილი 2008 წელს აგვისტოს ომის დაწყებაში ბრალს საქართველოს დებს! — ვის გასაგონად და ვის საყურადღებოდ იყო ნათქვამი?**

თქვენ გგონიათ, ქართველი ამომრჩევლის თვალების ასახელად და გონს მოსაყვანად იჭაჭებოდნენ ნაციონალები და მათი სატელიტი პარტიები ასე თავგამოდებით?

არც დაიჯეროთ! ქართველი ხალხის გასაგონად კი არა, რაღაც სხვა ძალების გასაგონად იმეორებდნენ ასე დაჟინებით და მიზანმიმართულად ეს ფარისევლობასა და დემაგოგიაში დაოსტატებული ნაძირლები ამ ცილისმწამებლურ და პროვოკაციულ განცხადებებს — სალომე ზურაბიშვილი და „ქართული ოცნება“ თქვენ გღალატობენ, ისინი არ არიან და ვერც იქნებიან თქვენი ერთგული პარტნიორები, თქვენი მიზნების და ამოცანების უსიტყვო შემსრულებლები. თქვენი ყველაზე საიმედო პარტნიორები ვართ ჩვენ და ეს ჩვენ არაერთხელ დავამტკიცეთ საქმით. დავამტკიცეთ თუნდაც 2008 წლის აგვისტოში, როცა ნახევარი საქართველო რუსეთს შევალეწეთ, სამაგიეროდ, რუსეთს ოკუპანტის იარლიყი ავაკარით შეუბლზე. ჩვენ მზად ვართ, იგივე გავიმეოროთ ნებისმიერ დროს, როცა ამის აუცილებლობა და საჭიროება იქნება. „ქართული ოცნება“ კი ამის გამკეთებელი არ არის, რაც მთი ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა წელიწადმაც დაამტკიცა.

აი, ეს ქვეტექსტი ედო სარჩულად ვაშაძის საარჩევნო კამპანიას, აი, ეს მესიჯები იგზავნებოდა უწყვეტ რეჟიმში დასავლეთის მიმართულებით და, როგორც ჩანს, მათ ნაწილობრივ დაარწმუნეს კიდევაც საერთაშორისო ინსტიტუტების და ცალკეული სახელმწიფოების ადმინისტრაციების ნაწილი, რომ ეს მესიჯები რეალობას შეესაბამება.

როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცებს ნაკლებად აინტერესებთ, საქართველოში დემოკრატია იქნება, ფაშიზმი თუ პირველყოფილი თემური წყობილება, მთავარია, საქართველოს შეუნარჩუნდეს რუსეთის წინააღმდეგ მუდმივად დაპირისპირებული სუბიექტის ფუნქცია, რაზეც ნაციონალები და მათი სატელიტები შინ თუ გარეთ ხმამაღლა და ხაზგასმით აფიქსირებენ თავიანთ მტკიცე მზადყოფნას, ოღონდ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, ოღონდ ძალაუფლება დაიბრუნონ.

რევანშის დაუძლეველი წყურვილით შეპყრობილი სააკაშვილი, ცხადია, ყველაფერზე წავა, ყველაფერზე დათანხმდება, რომ „სამეფო ტახტი“ დაიბრუნოს.

ამ მიზნის მისაღწევად ის უყოყმანოდ გაწირავს 2008 წლის აგვისტოს შემდეგ გადარჩენილ საქართველოსაც და მთელ ქართველ ხალხს თავის „ნაცმოძრაობიან“ „ქართულ ოცნებიანად“ რუსულ იმპერიას შეაწყვეტს.

ეს სიტუაცია რაღაცით ჰგავს „კავკასიური ცარცის წრის“ იმ სცენას, როცა ნამდვილი დედა ბავშვს ხელს გაუშვებს — აბა, ბავშვს შუაზე ხომ არ გავხლეჩო?

ესენი, ეს ნაციონალები და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია, მზად არიან, საქართველო თუნდაც შუაზე გაიხლიჩოს ან ნაწილ-ნაწილ დაიშალოს, ოღონდ ძალაუფლება დაიბრუნონ, „ქართული ოცნება“ კი, რამდენი ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს მას, დარწმუნებული ვართ, ამაზე არ წავა.

„ქართული ოცნება“, ალბათ, გრუშესავით მოიქცევა და, ღმერთმა ნუ ქნას, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, თავის ქვეყანას გასახლეჩად და გასაგლეჯად ვერ გაიმეტებს.

ეს არის დიდი განსხვავება „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის.

ის, ვისაც „ნაცმოძრაობა“ პატრიოტობად ასაღებს., სინამდვილეში, დიდი პროვოკაციაა, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღგენასთან კი არ გვაახლოებს, არამედ კიდევ უფრო გვაშორებს მას.

„ნაცმოძრაობა“ იმ ინსტრუქტორს ჰგავს, რომელიც სპეციალურ ბანაკებში თვითმკვლელ ტერორისტებს ტრენინგებს უტარებს, ფსიქოლოგიურად წვრთნის და იმ მომენტისთვის ამზადებს, როცა მსვერპლი მზადაა, ჯიჰადის ქამარი შეიბას და მტერს ეკვეთოს.

„ნაცმოძრაობას“ საქართველოსთვის ჯიჰადის ქამრის შებმა უნდა...





# „მოიქეცით წესიერად, „ნაცებო“, თორემ ინაშვილის მუშტი მონაგონი იქნება, თუ ხალხს მწყობრიდან გამოიყვანთ“



რამდენიმე დღის წინ ვიხილეთ პარლამენტის სხდომაზე ირმა ინაშვილსა და ნაცების „დამრტყმელ ძალას“, ნიკანორ მელიას შორის მომხდარი დაპირისპირება. „პატივცემული“ ნიკანორი შენიშვნების მიუხედავად, ვერაფრით დაშოშმინდა და ლაპარაკს არ აცლიდა ირმა ინაშვილს, რომელიც ფრიად მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთებას აპირებდა. როგორც ცნობილი გახდა, ქართული მხარე მიუერთდა მაროკოს პაქტს მიგრანტთა შესახებ, ეს მაშინ, როცა აშშ-მა და სხვა განვითარებულმა ქვეყნებმა უარი თქვეს ამ ხელშეკრულება-შეთანხმებაზე ხელი მოეწერათ. საინტერესოა, როდესაც ჩვენზე გაცილებით ძლიერი და მდიდარი ქვეყნები უარს ამბობენ მიგრანტების აღებაზე, საქართველო, რომელსაც საკუთარი ასეულათასობით დევნილი ვერ დაუბრუნებია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რატომ ირგებს „რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკის“ როლს? ნაცმოძრაობა თავის სატელიტებიანად, ვგულისხმობთ, როგორც პოლიტპარტიებს, ისე „ენჯეოშნიკებისა“ და ჟურნალისტების გარკვეულ წრეს, უცხოელი მიგრანტებისადმი განსაკუთრე-



ბული „ტოლერანტობით“ რომ გამოირჩევიან ეს არახალია, სამწუხარო ის არის „ქართული ოცნების“ გარკვეული ნაწილიც რომ სრულ თანხვედრაშია ამ კუთხით კოლექტიურ ნაცებთან. ამიტომ ჩნდება ეჭვი, რომ ნიკანორ მელიას მორიგი გამოხტომა, სწორედ ამ „ტოლერანტობით“ იყო გამოწვეული. სანამ ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე უფრო დეტალურად ვისაუბრებთ, გადავხედოთ როგორ ეხმაურებიან ინტერნეტსივრცეში ირმა ინაშვილსა და ნიკა მელიას შორის მომხდარ ინციდენტს. ჟურნალისტი დარეჯან ლიპარტელიანი ხელისუფლებას მიმართავს, „რაც ვერ მოახერხეთ კაცებმა და ვითომ პოლიტიკოსებმა, ის შეძლო და გააკეთა ირმა ინაშვილმა. ცნობილ ამორალსა და აღვირახსნილ ნაციონალს, ამ მჩხავანა მელიას, რომელიც ისე იქცევა, გეგონება ოჯახში კი არა, ბოსელშია გაზრდილი, რასაც დაპირდა ირმა ინაშვილი, შეუსრულა კიდეც, სახეში შეაყარა დოკუმენტები და სიფათშიც ლაზათიანად „ხია“. ვერასდროს წარმოვიდგენდი, ეს ურცხვი ნიკანორი, ისე თუ გამოიყვანდა მწყობრიდან ინაშვილს, რომ ბოლოს და ბოლოს მისი გასალახი გახდებოდა. ხოდა მოიქეცით წესიერად ნაცებო, თორემ ინაშვილის მუშტი მონაგონი იქნება, თუ ხალხს მწყობრიდან გამოიყვანთ. ისეთ სიძულვილსა და აგრესიას მიიღებთ ყოველდღე, რასაც თქვენ და თქვენი გაბომჟებული კუმირი აფრქვევს უცხოეთიდან“.

ექსპარლამენტარი ხათუნა ხოფერია, „ირმა, შენ ხარ ქალი, რომელმაც ხალხის ტკივილი კოდორით გადმოიტანე! შენ ხარ პოლიტიკოსი, რომელიც არც პარტიას შეუქმნია და არც ვინმე ლიდერს, შენ ხალხის წიაღში ხარ ჩამოყალიბებული, თვითნაბადი ხარ! ამიტომ არის შენი ნათქვამი ყოველი სიტყვა მისაღები და ახლობელი უბრალო ადამიანებისთვის! ამიტომ არ ესმის შენი ათასი გადამთიელის მიერ დაფინანსებულ და „დაზაკაზებულ“ ვაიქართველებს! მიიღე ჩემგან დიდი პატივისცემა და თანადგომა მეგობარო“. ნიკანორ მელია ვერც პოლიტიკოსობაში ვერც იუმორში რომ ვერ „ქაჩავს“ ფაქტია, მის მიერ ინტერნეტსივრცეში გამოდებულ ირმა ინაშვილის საათის ფოტოს კომენტარით, გადარჩენილი ვარ, მტერს მოხვდა ირმას მარჯვენა, აგერაა მტკიცებულება — ირმა ინაშვილმა ისე მძლავრად დაარტყა მაგიდაზე, საკუთარი საათი გაწყვიტა — აგერ არის მტკიცებულება რა ძალა აქვს ინაშვილს მაჯებში, მაგიდას როცა დაჰკრა ხელი, საკუთარი საათი გაწყვიტა, ნუ ინაშვილმა დღეს დროთა კავშირი გაწყვიტა“, რა კომენტარები მოყვა, რა „ეპითეტებით“ ამკობენ ნიკანორს ქართველი მამაკაცების ნაწილი, ამას გაზეთში ვერ დავწერთ. ნიკანორ-„ბატონო“, მართლა გადარჩენილი ხარ, ირმა ინაშვილს კარატეში „შავი ქამარი“ ჰქონია, მართლა რომ ეკადრა შენთან ფიზიკური ანგარიშსწორება, დარწმუნებული ვარ ხუმრობის ხასიათზე კარგა ხანს ვერ იქნებოდი.

ნაცების გაწიწმატება და მელიას „წინა ხაზზე“ გამოშვება სხვა ფაქტორსაც უკავშირდება, ირმა ინაშვილის თუნდაც იმ განცხადებას, რომ „სალომე ზურაბიშვილი ლეგიტიმური პრეზიდენტია, ვერავინ იტყვის, რომ მას ლეგიტიმაცია არ აქვს. რეალურად სალომე ზურაბიშვილმა მეორე ტური მოიგო და მხარდაჭერა მოიპოვა. საგამოძიებო ორგანოებს მივმართავ 780.000 ხმაზე დაიწყონ გამოძიება. კერძოდ, რამდენად რეალურია ნაცმოძრაობის მიერ მოპოვებული ხმები. გამოძიების პარალელურ პროცესს ვაწარმოებთ, რომელიც კონკრეტულ ფაქტებს დადებს“.

უფლებადამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე: „დიახ, ნაცებსა და საქართველოს მტრებს უნდა ეშინოდეთ ირმა ინაშვილის! ის საქართველოს დიდი პატრიოტი და მამულიშვილია, რომელმაც თავისი განვლილი გზით დაამტკიცა ქვეყნის ერთგულება. ასეთი ლიდერი სჭირდება საქართველოს! ქართველი ხალხის სათქმელს ამბობს მუდამ“.

ინტერნეტმომხმარებლებს უკვირთ, რატომ უკეთებს იგნორირებას მმართველი პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ შემუშავებულ რეზოლუცია, რომელიც ნაციონალების მმართველობის რეჟიმად გამოცხადებას ეხება.

რატომ აქამდე არ შეისმინა ხელისუფლებამ ხალხის მოთხოვნა, რატომ არ გამოცხადა ნაციონალების მმართველობა რეჟიმად, რომელიც არბევდა ჟურნალისტებს, ქუჩაში ხოცავდა ახალგაზრდებს (140 ახალგაზრდაა დახვრეტილი), აწამებდა, ამაზრზენი მეთოდებით შეურაცხყოფდა და კლავდა პატიმრებს, ქონებას ართმევდა ადამიანებს, დაკარგა ტერიტორიები? მოსახლეობის ჭარბვალიანობაზე ასე რომ „სწუხან“ კოლექტიური ნაცები, ეს ზუსტად მათი ბელადის „ნულოვანი ტოლერანტობის“ შედეგია, განურჩევლად რომ ყრიდნენ ხალხს ციხეში და ოჯახს როგორმე რომ გამოეხსნა პატიმარი იმ ჯოჯოხეთიდან, უკანასკნელ საცხოვრისს ყიდდა. დღეს ამ რეჟიმის „შემოქმედნი“ ბედავენ და მმართველ ძალას თუ მათგან განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს მოიხსენიებენ კრიმინალებად. თურმე მათი სისხლიანი მმართველობის ცხრა წელზე არ უნდა ვისაუბროთ და ცხოვრება „სუფთა ფურცლიდან“ დავიწყოთ. ძალით თავსმოხვეული კოჰაბიტაცია, რომ ექვსი წელია გრძელდება და ნაციონალებს დღემდე არ გაეცათ საკადრისი პასუხი, ეს „ქართულ ოცნებაში“ ჩაბუდებული ფერნაცვალი ნაცებისა და სოროსის ბუდიდან აფრენილი ე.წ. პოლიტიკოსების „დამსახურებაა“, ვფიქრობთ, ეჭვი არავის ეპარება. ეს კონტიგენტი მარტო პარლამენტსა და მთავრობაში არ არიან მრავლად, „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, ცესკოც მთლიანად მათ აქვთ მონოპოლიზებული კომისიის თავმჯდომარიანად. თურმე ნაცების „ფავორიტ“ ვაშაძეს 800.000-მდე ამომრჩეველმა მისცა ხმა. თუ ამდენი მხარდამჭერი ყავთ, აქციამიტინგებზე 5.000 ადამიანს რატომ ვერ უყრიან თავს? ინაუგურაციის ჩასაშლელად „მობილიზებულებმა“ ხომ მთლად გაიმასხარავეს თავი, ველისციხის „მისადგომებთან“ სულ რაღაც 200 „პროტესტანტი“ დაითვალეს. ირმა ინაშვილის განცხადებით, ბათუმის „გრანდიოზულ“ აქციაზე 50 ადამიანი თუ მივიდა, უარესი მდგომარეობა ჰქონიათ ქუთაისში, ოცამდე ნაციონალი თუ მათი მხარდამჭერი აპროტესტებდა სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებასო. კახეთმოვლილმა „მელიამ და კომპანიამ“ რა „ცეცხლიც დაანთეს“ რუსთაველის გამზირზე, ამაზე საუბრით თავს არ შეგაწყენ თ. ირმა ინაშვილი ითხოვს აუცილებლად იქნეს გამოძიებული არჩევნების შედეგები, რამდენად რეალურია ნაცმოძრაობის კანდიდატისთვის მიცემული ხმები. „პატრიოტთა ალიანსი“ პარალელურ გამოძიებას აწარმოებს, ინაშვილის განცხადებით, დაახლოებით თვენახევარში დასკვნას გამოაქვეყნებენ. გამოძიება მარტო არჩევნების შედეგით კი არა, თავად კომისიის საქმიანობითაც, კომისიის წევრების პერსონალიებითაც უნდა დაინტერესდეს. როგორც „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ ჩვენთან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ცესკო მთლიანად ე.წ. ელიტარი „ენჯეოშნიკებით“ არის დაკომპლექტებული, იმ ე.წ. უფლებადამცველთა თანამოაზრეებით, რომლებმაც მეორე ტურის წინ დიდი აპლომბით გვამცნეს, ხელისუფლება ყალბ პირადობის მოწმობებს ბეჭდავსო, თუმცა პროკურატურაში დაკითხვაზე რომ დაიბარეს, ბრინჯივით დაიბნენ და ზღაპრების თხზვა დაიწყეს. ისე, ეს საქმეც საეჭვოდ მიჩუმდა, რა ეტაპზეა ძიება არავინ იცის. იმედია, საქმე ბოლომდე მივა და ყალბისმქნელი იქნება თუ ცრუდამსმენი, საკადრისად დაისჯება.

კობა ნარჩემაშვილმა ერთ ადრინდელ ინტერვიუში მითხრა, „ნაციონალური მოძრაობა“ მხოლოდ ტელევიზიებში არსებობს, ჟურნალისტებმა რომ არ გააპიარონ, მეორე დღესვე დამთავრდება ეს პარტიაო. სრულ სიმართლეს ამბობდა ბატონი კობა, ნაცმიდრეკილმა მედისაშუალებებმა და ხელისუფლებაში „ჩანერგილმა“ ფერნაცვალმა ნაცებმა და სხვა საეჭვო წარმომავლობის ელემენტებმა „სასიცოცხლო ინექციები“ რომ არ შეუშხაპუნონ ნაცმოძრაობას, დიდი ხნის წინ იქნებოდა „გარდაცვლილი“. ამ „ჩანერგილებს“ მიუძღვით დიდი „წვლილი“ აქამდე რომ არ დადგა სააკაშვილის, ვაშაძეების, მელიების და სხვათა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ღიად მოუწოდებენ ხელისუფლების დამხობისკენ, ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ რიგით მოქალაქეებს თუ პოლიციელებს, აზიანებენ პატრულის თუ პარლამენტარების ავტომანქანებს. ირმა ინაშვილმა ტელეიმედში განაცხადა, რომ „ჩანერგილები“ მცირერიცხოვანი ჯგუფია, თუმცა მათი ვინაობის გამჟღავნებისგან ამ ეტაპზე თავი შეიკავა.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ეკონომიკის წითელი ხაზი, რომელიც ადამიანის გულზე გადის



ყველას გვემახსოვრებათ ებრაელი „ბანკირი“ შეილოკი „ვენეციელი ვაჭარიდან“, კაცი, რომელიც ფულის მსესხებელს, თუკი მან ვალი ვერ დააბრუნა, ერთ გირვანქა ხორცის ნაჭერს, ანუ გულს სთხოვს ვალის დასაფარავად.

ამ პიესის ალეგორია პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ ეკონომიკის წითელი ხაზი ადამიანის გულზე გადის.

საქართველოს 600 000 მოქალაქეს, რომლებიც ე.წ. ურჩ გადამხდელებად, პრობლემურ მსესხებლებად ითვლებოდნენ, საბანკო ვალებისგან გული საგულეს აღარ ედოთ, საქართველოს მთავრობამ და „ქართუ ბანკმა“ ბანკირების



ხელში ჩავარდნილებს ვალი სრულად გაუნულა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, ჭარბვალიანობის შემცირების მიზნით, მოსახლეობის გარკვეული კონტინგენტისთვის ვალების ჩამოწერა მოხდა.

გაიხსნა სპეციალური საიტი — **vali.ge,** სადაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნახოს, არის თუ არა სიაში თავისი სახელი და გვარი და ჩამოეწერა თუ არა წლების განმავლობაში დაგროვილი დავალიანება.

გაჩნდა უამრავი მადლიერი ადამიანი, რომლებიც ვალის გარეშე შეხვდებიან ახალ წელს.

ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ვალები სხვადასხვა ბანკებიდან 600 000-ზე მეტ ადამიანს გაუნულდა.

პროფესორ ლია ელიავას აზრით, მიუხედავად ამ დიდი ფინანსური აქტისა და მადლიერი 600 000 ადამიანისა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკმაყოფილო დარჩა, ანუ მოსახლეობის ის ნაწილი, ვინაც შეძლებისდაგვარად, გაჭირვების მიუხედავად, ბანკებიდან აღებულ სესხებს პატიოსნად იხდიდა, მას ეს საფინანსო შემოწირულობა არ შეხებია.

**ლია ელიავა:** „ვინც იხდიდა, მას შეღავათიც არ შეეხება, ხოლო ვინც საერთოდ არ იხდიდა, ვალი გაუნულდა.

საინტერესოა, რომ ასეთი იყო ხელისუფლების გადაწყვეტილება, რამაც ძალიან ბევრი ადამიანის უკმაყოფილება გამოიწვია, იმათი, ვინც ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, თავიანთ საკრედიტო დავალიანებას პატიოსნად იხდიდა. როცა მოსახლეობა ხედავს, რომ პირმა, რომელმაც აიღო სესხი ბანკიდან, „შეჭამა“. უპასუხისმგებლოდ არ აბრუნებს და ბოლოს ეს სესხი უნულდება, გული წყდება, სწყინს. ეს იწვევს საზოგადოების შუაზე გახლეჩას. არ შეიძლება ცალი ხელით ერთი გაახარო და მეორე, იმის გამო, რომ კეთილსინდისიერია — დაჩაგრო.

მოკლედ, ვალების განულების პროცესი ტექნიკურად სწორი პროცესი იყო, მაგრამ მორალურად გაუმართლებელი. ნაწილი ადამიანებისა კმაყოფილია, ნაწილი უკმაყოფილო და ნაწყენი და უნდა ითქვას, რომ ადამიანების გულში წყენა რჩება და ამ წყენის გაქრობა აღარაა ადვილი. მეტსაც გეტყვით, სამეგრელო და გურია შეჭამა ფაროსანამ, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან არავითარი დახმარება მოსახლეობისთვის არ ყოფილა იმის მიუხედავად, რომ გაუნადგურდათ მოსავალი, ზამთრის სარჩო საერთოდ აღარ დარჩათ. კახეთში რომ წამოვა სეტყვა და ხელისუფლება ზარალის ანაზღაურებაზე იწყებს ფიქრსა და ლაპარაკს, სამეგრელო და გურია საქართველო არ არის? ასეთი ცალმხრივი მიდგომები არ არის გამართლებული.

რაც შეეხება სესხებს. ვისაც გაუნულდა, ჰგონიათ, რომ მათი საკრედიტო ისტორია სუფთა დაფასავით იქნება და არავითარი კვალი იმისა, რომ ეს ადამიანები იყვნენ ურჩი გადამხდელები, არსად არ გამოჩნდება, მაგრამ ეს ასე არ არის. როდესაც ისინი მიაკითხავენ ბანკებს სესხის ხელახლა ასაღებად, მაშინ მიხვდებიან, რომ ჯობდა, თვითონ გადაეხადათ ვალი, ვიდრე სახელმწიფოებრივი აქტით განულებულიყო მათი დავალიანება.

თვითონ მთავრობის არასწორი და გაუაზრებელი მოქმედება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ნაწილ მოსახლეობას, ფაქტობრივად, ურჩ გადამხდელებს, შეღავათი გაეწია.

ამ ფინანსურ აქტს, ამ მოქმედებას, შეიძლება, არ მოჰყვეს ხმამაღალი და მკვეთრად გამოხატული პროტესტი მოსახლეობისგან, მაგრამ მათ გულში ეს უკმაყოფილება რჩება და ადრე თუ გვიან აუცილებლად იჩენს თავს ამა თუ იმ ფორმით.

გულნატკენი მოსახლეობა ძალიან რთული სამართავია.

იმის თქმა მინდა, რომ ამ საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა არასწორი იყო. ერთადერთი, რითაც მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება, დამატებითი თანხების გამოყოფაა საჭირო და ვალებში ჩაფლული მოსახლეობისთვის სავალალო ტვირთის ოდნავ მაინც შემსუბუქება — ვთქვათ, 20 000 ლარი ვალიდან 2 ან 3 000 რომ დაგიფარავენ, ამითაც მადლობელი იქნება ადამიანი.

შევთანხმდეთ იმაზე, რომ ე.წ. „შავი სიები“ არ უქმდება. წეღანაც გითხარით, ყველა ისტორია რჩება საკრედიტო ისტორიების ბიუროში და კონკრეტულ შემთხვევაში, როცა კომერციული ბანკი მიმართავს ბიუროს, მიაწვდიან ინფორმაციას, რომ მსესხებელი განულებულთა სიაშია. ბუნებრივია, ბანკი თავს შეიკავებს სესხის გაცემისგან.

ეს სიტუაცია რამდენიმე თვეში დადგება და ადამიანები, ახლა რომ კმაყოფილები არიან, ხვალ პროტესტს გამოხატავენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია — ადამიანის ხასიათიდან გამომდინარე — რაც უნდა კარგი გაუკეთო ადამიანს, შემოსადავებელი თუ მიეცი, უკან არ დაიხევს.

დაკრედიტების წესები, რომელიც შემოიღო ეროვნულმა ბანკმა, არის საკმაოდ მკაცრი და კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, მსესხებლის ოჯახის თითოეული წევრის შემოსავალ-გასავალი შეისწავლონ და თუ აღმოჩნდა, რომ შემოსავლები არის ძალიან მცირე, სპეციალურ შკალაზე მოცემული ციფრების მიხედვით იძლევიან სესხებს. მაგალითად, თუ მსესხებლის შემოსავალი თვეში 1000 ლარია, მისი სასესხო მოთხოვნა არ უნდა აღემატებოდეს შემოსავლის 25%-ს, ანუ 250 ლარზე მეტის სესხის აღება არ შეუძლია. საკმაოდ მკაცრი პირობებია.

როგორც წესი, კანონს უკუქცევის ძალა არ აქვს და ის არ მოქმედებს ადრე არსებულ მდგომარეობაზე და თუ ვინმე ფიქრობს, რომ სესხი აუცილებლად უნდა აიღოს, დაელოდოს დროს, თორემ ახლა თუ აიღებს სესხს, მისი გადახდა ისეთივე მძიმე და რთული იქნება, როგორც ადრე იყო, რადგან კანონი არ არის მარეგულირებელი დოკუმენტი. ახალი ბრძანება უნდა გამოიცეს და შემდეგ შეიძლება საუბარი სესხების შესაძლო ლიბერალიზაციაზე. დრო დასჭირდება ამ პროცედურებს. ამ საკითხის განხორციელებას კომერციული ბანკებიც დააბკროლებენ, რადგან უმცირდებათ შემოსავალი. ეს არც მოსახლეობისთვის იქნება ხელსაყრელი, რადგან, ფაქტობრივად, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის საკრედიტო რესურსებისადმი წვდომა მნიშვნელოვნად იზღუდება.

ყველას გვახსოვს, მთავრობამ თავის დროზე სიღარიბესთან ბრძოლა გამოაცხადა. საინტერესოა, როგორ აპირებს ის ამის გაკეთებას? თუ იმით, რომ ღარიბს მოუსპოს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალება, ეს არ არის სიღრიბესთან ბრძოლის არც სურვილი და არც მოქმედება.



ეს არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ღარიბი მოსახლეობა ვეღარ შეიძენს, ვთქვათ, ახალ მაცივარს, ახალ ტელევიზორს და ა. შ. ამას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს — ასეთი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები ოჯახებს ვერ შექმნიან, ბინას ვერ აიღებენ იპოთეკით, შეეშინდებათ ბავშვის გაჩენის და ა. შ.

მე სულ ვამბობ: ჩვენი ხელისუფლება, წინანდელი, იმის წინა, რატომღაც ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომ არ აქვთ გათვლილი მოქმედებების რისკები, წინ არ იხედებიან. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, უცოდინარობა და არაპროფესიონალიზმია. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ცოდნა, ცოდნა და კიდევ ერთხელ ცოდნა. პროფესიონალური განათლება აკლია ჩვენს ქვეყანას და სასტიკად აზარალებს მას. მაგრამ ყველაზე საწყენი და სავალალო ისაა, რომ სწორედ ეკონომიკურ გუნდში არის ასეთი პრობლემები. გაურკვეველი განათლების და გამოცდილების ადამიანები ინიშნებიან თანამდებობებზე ეკონომიკის კუთხით. როგორ შეიძლება რეფორმები ანდო ისეთ ადამიანებს, რომლებსაც წარმოდგენაც არ აქვთ ეკონომიკის ანბანზე?!

ისე არ გამიგოს ვინმემ, თითქოს საქართველოში არ იყოს განათლებული ადამიანები და კერძოდ, მცოდნე, პროფესიონალი ეკონომისტები. მე ვიცნობ ახალგაზრდებს, შესანიშნავ ეკონომისტებს, მცოდნეებს, მოაზროვნეებს, მაგრამ ისინი არ ჩანან და რატომღაც წამოტივტივებულნი არიან გაუგებარი ცოდნისა დ გამოცდილების ადამიანები. არ ვიცი, რა ნიშნით პოულობენ მათ. ბევრი კარგი ეკონომისტი გვყავს, რომლებიც კარგად გაართმევდნენ თავს პრობლემებს და ქვეყანა ეკონომიკურად უკეთეს მდგომარეობაშიც აღმოჩნდებოდა.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ძლიერი რეგიონები



მარტვილი

### მარტვილის მუნიციპალიტეტში

● მარტვილის მუნიციპალიტეტში იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა იუსტიციის სახლი საზეიმოდ გახსნა. მარტვილის იუსტიციის სახლი რიგით ოცდამეერთე იუსტიციის სახლია, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა სახელმწიფო და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისის მიღებას მინიმალურ დროსა და კომფორტულ გარემოში შეძლებს. იუსტიციის სახლთან ერთად გაიხსნა ქორწინების სახლი.

იუსტიციის სახლის გახსნას ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია, გუბერნატორის მოადგილეები ირაკლი ჯიქია და ნინო ვიბლიანი, მარტვილი-აბაშის მაჟორიტარი დეპუტატი ოთარ დანელია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გრიგალავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და მოსახლეობა.

● ქალაქ მარტვილში შიდა საავტომობილო გზებზე ასფალტ-ბეტონის საფარი იგება. ამ ეტაპზე მუშაობა მიმდინარეობს დადიანის ქუჩაზე. ანალოგიური სამუშაოები იგეგმება შეროზიას და თბილისის ქუჩებზე. ჯამში დაიგება 1464 მეტრი საფარი. პროექტის ღირებულება 351303 ლარია.

სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება

### გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ძირკოკში, რკინიგზის მიმდებარე ქუჩაზე, 150 მეტრი სიგრძის გზა მოასფალტდა, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 45 484 ლარი დაიხარჯა.

● სოფელ ზეგაანში მიმდინარეობს ცენტრალური გზის რეაბილიტაცია. საბოლოოდ მოასფალტდება სოფლის სასაფლაოსკენ მიმავალი გზის 1450 მეტრი. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით ხორციელდება, რისთვისაც 406 967 ლარია გამოყოფილი.

● სოფელ არაშენდაში საბავშვო ბაღამდე 110 მეტრი სიგრძის გზაზე ასფალტი დაიგო. სამუშაო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 16 518 ლარით დაფინანსდა,

● საბავშვო ბაღთან მისასვლელი საფეხმავლო გზა მოასფალტდა აგრეთვე სოფელ ქოდალოში. სამუშაოები ადგილობრივმა ბიუჯეტმა 10 356 ლარით დააფინანსა.

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა საერთაშორისო ასოციაციის — „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ — წარმომადგენლებთან ერთად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 23 შშმ პირს თანამედროვე, კომფორტული, უშუალოდ მათზე მორგებული სავარძელი-ეტლები გადასცა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს ამ საერთაშორის ასოციაციასთან და მადლობას უხდის ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებს გაწეული დახმარებისთვის.

იმავე დღეს სტუმრებმა ორგანიზაცია „მადლის“ ბენეფიციარები მოინახულეს და მათ საჩუქრად ტანსაცმელი მიუტანეს.

### სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფელ ერისიმედის საბავშვო ბაღში გაიმართა პრეზენტაცია პროექტისა „ეკოენერგია ერისიმედის ბავშვებს“, რომლის ორგანიზატორები არიან კავშირი „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“ და სიღნაღის მერია.

სოფელში სტუმრად იმყოფებობდნენ კახეთის მხარის გუბერნატორის მოადგილე, სიღნაღის მერი, ასევე BP-საქართველოს, სი-თი-სი-ის, და „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს“ წარმომადგენლები.

სტუმრებმა საბავშვო ბაღის შენობა და ენერგოეფექტური გათბობის სისტემა, მზის წყალგამაცხელებელი და მზის მიკროელექტროსადგური დაათვალიერეს.

გათბობის ავტონომიური სისტემა ადგილობრივ ბიომასაზე (თხილის ნაჭუჭზე) მუშაობს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მინიმალური დანახარჯით ბაღის მთლიანად გათბობა. ამასთანავე, ერისიმედის საბავშვო ბაღის შენობაში ქვაბამბის საშუალებით მისი თბოიზოლაციაც გაუმჯობესდა.

ბაღის აღსაზრდელები პროექტის განხორციელებამდე ვერ სარგებლობდნენ ცენტრალური გათბობით. პრიმიტიული შეშის ღუმლით მხოლოდ საერთო სარგებლობის ოთახები თბებოდა.

ამ პროექტის შედეგად, გარდა ტექნიკური და ეკონომიკური სარგებლისა, კლიმატის ცვლილებაზე ზეგავლენაც შემცირდება.

### თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, 2016 წლიდან დღემდე, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა 51 დასახლებას, მათ შორის დაბა მანგლისს და ქ. თეთრიწყაროს.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან დღემდე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა 5339 მოქალაქეს.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები სარგებლობენ სოციალური შეღავათებით, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადთან და ქონების გადასახადთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით.

მეწარმე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისგან.

### დუშეთის მუნიციპალიტეტში

● მჭადიჯვრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კადოეთსა და სოფელ ლამოვანში მიმდინარეობს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. კეთდება ორი ჭაბურღილი და ორი წყალშემკრები რეზერვუარი, რასაც მიუერთდება არსებული ქსელი. მიმდინარე სამუშაოს დასრულების შემდეგ ორი სოფლის მოსახლეობა უწყვეტად მიიღებს სასმელ წყალს.

სამუშაოები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

● ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლებში ჩირიკსა და უკანა მხარში მიმდინარეობს ნაპირსამაგრის მოწყობა.

უხვი ნალექის დროს ხევის კალაპოტში წყალი დიდდებოდა და საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობას, იტბორებოდა ადგილობრივი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები. დამცავი ჯებირები ამ პრობლემას მოაგვარებს.



დუშეთი



# ძლიერი საქართველოსთვის



ზუგდიდი

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

• სამეგრელო-ზემო სვანეთში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) დაფუძნდა. ზუგდიდის ტექნოპარკში ორგანიზაციის დაფუძნების მემორანდუმს ხელი USAIS Zrda პროექტის ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ ირაკლი ჯიქიამ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გიორგი შენგელიამ, მუნიციპალიტეტების მერებმა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა მოაწერეს.

DMO-ს მიზანია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია.

სამეგრელო-ზემო სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტული რეგიონია, სადაც ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას ერწყმის ბუნების განუმეორებელი სილამაზე და სათავგადასვლო ტურიზმისთვის დამახასიათებელი უპირატესობები.

DMO-ს დაარსებით, Zrda და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ერთობლივად განსაზღვრავენ რეგიონში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ პრიორიტეტებს; გააანალიზებენ რეგიონში არსებული ყველა ტურისტული ღირსშესანიშნაობის მდგომარეობას, მოიძიებენ და დანერგავენ ახალ მიდგომებს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ ზრდას და ადგილობრივთა დასაქმებას. პარალელურად, Zrda და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია თანამშრომლობენ სამცხე-ჯავახეთის DMO-ს დაარსების მიმართულებით.

ტექნოპარკში რეგიონის ტურისტული პოტენციალის ამსახველი ფოტომასალაც იყო გამოფენილი.

• მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, განათლების განყოფილების განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილმა კომისიამ, ნიჭიერ ახალგაზრდას, ბექა შეროზიას, მაღალი წარმადობის კომპიუტერის შეძენა დაუფინანსა.

ბექა შეროზია ალექსანდრე ღურწკაიას სახელობის გიმნაზიის მე-9 კლასის მოსწავლე და „ბექ ბოტის“, იგივე ხელოვნური ინტელექტის შემქმნელია. ბექა„ ბექ ბოტის“ აპლიკაციად ჩამოყალიბებას გეგმავს, რისთვისაც მაღალი წარმადობის კომპიუტერი სჭირდება.

## სენაკის მუნიციპალიტეტში

• სენაკში იუსტიციის სახლი შენდება. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძე სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მერის მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

მიმდინარე წლის ბოლოს სენაკის მუნიციპალიტეტს ინდივიდუალური სტილით, არქიტექტურულად და ფუნქციურად გამორჩეული იუსტიციის სახლი დაამშვენებს.

იუსტიციის სახლის გახსნის შემდეგ სენაკელებს საშუალება მიეცემათ „ერთი ფანჯრის პრინციპით“ ისარგებლონ სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისით, რომლის კონცეფცია სწრაფი და ეფექტური მომსახურების მიწოდებაა.



ჩოხატაური

## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

• სოფელ ნაკიანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ, მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა შესაბამის სამსახურებთან ერთად სოფელ ნაკიანში იმ საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს, რომელიც სტიქიის შედეგად დაზიანდა. სამუშაოები 25 დეკემბრამდე დამთავრდება.

• ჩხოროწყუს მერი დათო გოგუა, მერის პირველი მოდგილე და ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მალანია შეხვდნენ ადგილობრივ მეწარმეებს, რომლებიც სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს ასრულებენ. პროექტები ითვალისწინებს სახიდე გადასასვლელების, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი ჯებირებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას.

• გამწვანების აქცია სოფელ კირცხში — კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის CENN-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსის — ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის ფარგლებში სოფელ კირცხის №1 საჯარო სკოლის ეკოკლუბის წევრებმა შინმოუსვლელთა სკვერში გამწვანების აქცია მოაწყვეს და მარადმწვანე, წიწვოვანი მცენარეები დარგეს.

გამწვანების აქციაში ეკოკლუბის წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა, საკრებულოს წევრი ვალერი იზორია და სკოლის დირექტორი დიმონ არახამია.

კონკურსის მიზანია სკოლებმა, მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღონ გარემოსდაცვით„ მწვანე აქტივობებში“. კონკურსი თებერვლის ბოლოს დასრულდება.

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

• მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩოხატაურის მერმა ირაკლი კუჭავამ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან და ინსპექტირების ჯგუფთან ერთად დაათვალიერა.

სულ მალე დამთავრდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია.

დასრულდა გოგიბერიძის, გოგებაშვილისა და ნიკო მარის ქუჩაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება და სანიაღვრე არხების მოწყობა. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

## მარნეულის მუნიციპალიტეტში

• სოფელ წერეთელში მიმდინარეობს 9 აპრილის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია და მინისტადიონის მშენებლობა.

პროექტის ფარგლებში ტერიტორია ზონებად გაიმიჯნა, კერძოდ — გამოიყო მემორიალის ისტორიული ზონა და ყოველდღიური თანამედროვე ზონა. პირველ ზონაში 9 აპრილის მემორიალი უკვე რესტავრირებულია და იქაურობა მოპირკეთებული.

სოფელში გასართობ-შემეცნებითი სკვერის მოწყობის იდეა პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში იყო წარდგენილი. პროექტი პოლონელმა ექსპერტებმა მერიასთან ერთად შეარჩიეს საპილოტოდ, რაც გულისხმობდა სკვერის დაპროექტება-დაგეგმარებას მოქალაქეებისა და პროექტის ავტორების ჩართულობით პოლონელ და ქართველ არქიტექტორებთან ერთად. პროექტისთვის 165498 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო.

სოფელ წერეთელში მიმდინარეობს აგრეთვე ხელოვნურსაფრიანი კომბინირებული მინისაფეხბურთო მოედნის მოწყობაც. პროექტის სახელშეკრულებო თანხა 73 370 ლარს შეადგენს.



მარნეული

# ნუ ეტყვით სააკაშვილს, რომ ჩერჩილი არ არის, მაინც ცოდოა, ეს ჩემისა!



არც ერთი ქვეყნის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი ერთ ჩემ სოფლელ ქალს მაგონებს, რომელიც სულ ჩხუბობს. ერთხელ მეზობელ დედაკაცს აუხირდა, შენი ძროხა დაუკრეფავში გადმოდისო. ამან უთხრა, იმანაც არ დააკლო, ერთმანეთს რაღა არ ეძახეს და ბოლოს ამან რომ ვეღარაფერი მოიგონა, დოინჯი შემოიყარა, ფეხები მხრების სიგანეზე გადგა, კბილები დაკრიჭა და ეუბნება: იიი, შე საცოდავო, შენი მახინჯი ქმარი კიდენა ღვინოი რო ყლურწამს, ეგ როგოღა არიო?!

ჰოდა, ამ მიხოსაც ვეღარაფერი მოუგონია, რა წამოაძახოს ბიძინა ივანიშვილს და მიადგა სალომეს: იიი, შენ კიდე პრეზიდენტად მახინჯი ზურაბიშვილი რო წამოასკუპე, ეგ უნდა ვაღიაროთო? არ ვაღიარებთ, არაო!

წინა წერილში ვწერდი, ამ ჩემ ფეხებს, თუ არ აღიარებთ-მეთქი და მე მართლაც ფეხებზე მკიდია, მაგრამ სოფლის ბოლოში მცხოვრები ჩემი თანამოქალაქე დაზაფრულია, მიხო რო არ აღიარებს, სალომე პრეზიდენტი ვერ იქნებაო? იქნება, თუ გინდა, ლამპა მაანათე-მეთქი! თითქოს მიჯერებს... მერე თვალს "რუსთავი 2"-ისკენ გააპარებს და ეჭვი ეპარება. სანამ სალომეს გაეროს ტრიბუნაზე არ დაინახავს, ბოლომდე მაინც ვერ დარწმუნდება. მეც აღარ ვუხსნი არაფერს.

ჰოდა, იმას ვამბობდი... გაბოროტებულმა მიხომ, რომელიც განსაკუთრებული გარეგნობით გამოირჩევა, რომელიც მზეს ეუბნება, შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო, თავის "ფეისბუქგვერდზე" ისევ გამოყო დინგი და ასეთი რამ თქვა:

„კიდევ ერთხელ ვამბობ, პატრიარქმაც კი თქვა, რომ ხმები მოპარულია. რა ვქნათ ახლა, ქურდულ ლოგიკას მივყვეთ და „გავაპრავოთ" მოპარვა?! მათ შორის, აზრზე მოსული ჩვენი ფორმალური თანამებრძოლები როდესაც საუბრობენ, რომ რაღა აზრი აქვს, უნდა ვაღიაროთ შედეგები. რა უნდა ვაღიაროთ, რომ ხალხს „აახიეს" ქვეყანა? ივანიშვილმა ქართველი ერის ნების სრული იგნორირებით უნდა დაასკუპოს თავისი მახინჯი თოჯინა პრეზიდენტის რეზიდენციაში და ეს ვაღიაროთ?! ქართულობის სიმბოლოდ უნდა გაასაღოს ის, რაც ანტიქართულობის სიმბოლოა? ამ სასამართლოების იმედი არ გვაქვს, მაგრამ, როგორც კი შეიცვლება ხელისუფლება, პროკურორი ამოწევს ყველა საქმეს, არჩევნების შედეგები იქნება ბათილად ცნობილი და გამოაბრძანებენ იმ ქალს, თოჯინას გარეთ იმ სასახლიდან, რომელიც ვითომ მემკვიდრეობით ერგო, როგორც სხვა ყველა გამყალბებელს მსოფლიოში".

სწორად თქვა თავის დროზე თეა წულუკიანმა, სააკაშვილი მართლაც სავალალო მდგომარეობაშია. ის არა მხოლოდ მოწყვეტილია რეალობას, არამედ მას თავში აქვს მოწყვეტილი რეალობის შეგრძნების ჭანჭიკი და საერთოდ აღარ უსწორდება "ზაჟიგანია". შეიძლება აღარ გახსოვთ, მიხოს ამგვარი გამოხტომა პირველი არ არის, ჯერ კიდევ შარშან თეა წულუკიანს უწოდა მახინჯი:

"ივანიშვილის ზოგიერთ მინისტრზე მე მახსენდება უინსტონ ჩერჩილი. ჩერჩილს ერთ-ერთ მიღებაზე მიეჭრა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ერთ-ერთი ქალბატონი და უთხრა: ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენ მთვრალი ხართ! რაზეც ჩერჩილმა ძალიან აუღელვებლად უპასუხა: „ქალბატონო, მე მართლაც მთვრალი



ვარ, ძალიან, ძალიან მთვრალი ვარ. თქვენ მახინჯი ხართ, ძალიან, ძალიან მახინჯი ხართ! ოღონდ ხვალ დილას მე გამეღვიძება და უკვე ვიქნები ფხიზელი. ეს არის ჩემი პასუხი წულუკიანს. მინდა ვთქვა, რომ ივანიშვილი და წულუკიანი თავისი მასშტაბების გამო, იქაც ვერ მომწვდნენ, სადაც მოწვდენა ჩემზე უნდოდა ივანიშვილის პატრონ პუტინს. იქამდეც ვერ მომწვდნენ ეს სუბიექტები და ვერც მომწვდებიან. მაგრამ მალე ქართველი ხალხი მიწვდება მათ ყველგან, სადაც საჭიროა და სათანადოდ აგებინებს პასუხს".

იცით... ნუ ეტყვით ამას (მაინც ცოდოა), რომ ჩერჩილი კი არა, სინამდვილეში ნაპოლეონია, თორემ შეიძლება რომელიმე სახლის სახურავზე ავიდეს და აღარ ჩამოვიდეს. არა, ეგ იქიდან გადმომხტომი არ არის, მაგ მხრივ არ იდარდოთ, უბრალოდ ერთი "ყარაული" სჭირდება, ბევრი ლაქლაქი იცის და ამ ლაქლაქში ფეხი არ დაუცურდეს. ჰო, ფეხი, თორემ კრამიტები ისედაც დაცურებული აქვს. ისე, ნაპოლეონზე გამახსენდა... ალბათ, იცით, პატივცემული ბონაპარტი ტანმორჩილი კაცი იყო, როგორც ერეკლე მეორე (პატარა კახი), ან თუნდაც იოსება პაპა (სტალინი), ერთხელაც დგას შემაღლებულ ადგილზე, ჭოგრიტით გაჰყურებს ფრონტის ხაზს, მივიდა მისი ერთი თავხედი გენერალი და შეჰკადრა, მომეცით ჭოგრიტი, მე უფრო მაღალი ვარ, უკეთესად დავინახავ და მოგახსენებთ ბრძოლის ამბებსო. ნაპოლეონი არც კი შეტრიალებულა, ისე უპასუხა: შენ მაღალი კი არა, უბრალოდ გრძელი ხარო. ჰოდა, მიხოსაც ჰგონია, რომ ივანიშვილზე, ან თუნდაც წულუკიანზე მაღალია და იქამდეც ვერ სწვდებიან, სადამდეც თურმე პუტინიც კი ვერ მისწვდა. ჰა, ჰა, ჰა... ამ დროს ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ გვაჩვენა იგივე პუტინმა გორში მიხოს ნატურალური ზომა, როცა თვითმფრინავის ხმა ჩაურთო. ჰო, ჩაურთო, რადგან ხმა იყო, თვითმფრინავი კი საერთოდ არ გამოჩენილა. აი, მართლაც ის გახლდათ მიხოს ნატურალური ზომა, სულ რაღაც ორიოდ მტკაველი. ჩვენ ისიც გვახსოვს, როგორ დასდევდა სააკაშვილი ტუალეტიდან ტუალეტში იგივე პუტინს, თუ სადმე, უცხოეთში გამართულ თავყრილობაზე გადაეყრებოდა ხოლმე — მზად იყო, პუტინი რომ მოფსამდა, მისი პენისი დიდი სიამოვნებით დაეფერთხა და სურათიც გადაეღო. მერე ბრუნდებოდა თბილისში და გვიყვებოდა, თუ როგორი კეთილი თვალები ჰქონდა რუსეთის პრეზიდენტს. ტიპმა უკვე მოაბეზრა





თავი ყველას თავისი "სკაიპ" და "ფეისბუქ" ჩართვებით, თავისი კოკაინური გამოხტომებით. ის ცდილობს, ყირაზე დააყენოს რეალობა და მახინჯად წარმოაჩინოს ყველა და ყველაფერი, ვინ და რაც კი მას არ ემორჩილება. არ მინდა, მის გარშემო მოძუნძულე ცხოველების გვარ-სახელები ჩამოვთვალო, რომლებიც მართლა სიმახინჯეებთან ასოცირდებიან. რა აზრი აქვს? შეიძლება ვინმე გამომრჩეს და მერე თქვას, სიაში არ ვარ, მაშასადამე, მშვენიერება გახლავართო. სააკაშვილი დაუკრეფავში ისე გადადის, ბოდიშსაც არ იხდის, გაიხსენეთ მისი მიმართვა თამარ ჩუგოშვილისადმი — "ე, გოგო, აზრზე მოდი"! ეს არსება მთლად გამოსულია ადამიანობის არეალიდან და იმის გამო, რომ თავს ზევით ძალა აღარ აქვს, ყველაფერს კადრულობს. ნახეთ, როგორ იმუქრება, ივანიშვილის მახინჯ თოჯინას პრეზიდენტად პროკურორი გამოიყვანს იმ სასახლიდან და ციხეში გაამწესებსო. სანაძლეოს დავდებ, უახლოეს მომავალში იტყვით, სალომეს, მაგ მახინჯს სასახლიდან გამოვათრევ, ცხენის კუდზე გამოვაბამ და ალაზნის ველზე ვახოხიალებო... ოღონდ იქვე არ დაამატებს, როგორც მე მახოხიალეს გორის მისადგომებთანო. არა, მაგას არ იტყვის, ეგ არ ითვლება, იმასაც დაივიწყებს, უკრაინაში რომ ჩამოათრიეს ერთ-ერთი სასტუმროს სახურავიდან!

ჩვენი წინაპრებისგან გამიგონია, კაცი ქალისადმი მოპყრობით იზომებაო. დიახ, ასეა ეს, მაგრამ სააკაშვილი საერთოდ აღარაფრით იზომება — არც ქცევით, არც მიდგომით, არც სიტყვა-პასუხით, არც მსჯელობით, არც ადამიანობით, მის გავეშებულ და გაბოროტებულ სულში მხოლოდ ერთი აზრი ტრიალებს, როგორმე ისევ ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება და ყველას გაუსწოროს ანგარიში. მან პრეზიდენტობის პერიოდში ყველა ის ადამიანი აწამა, სადღაც ჩაკლა, ვისაც კი ერთი პანჩური მაინც ამოურტყამს ბავშვობაში. ახლა ანგარიშსწორების მეორე ეტაპზე ოცნებობს, ყველას გვაწამებს და ჩაგვკლავს, ვისაც კი ოდნავი წვლილი მიგვიძღვის მის გაძევებაში. სხვათა შორის, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ასეთი გამონათქვამებიც სწვდებოდა ჩემ ყურს: არც "ოცნება" მაინტერესებს და არც სალომე ზურაბიშვილი, ეგ ბარბაროსი რომ მოვიდეს, ან ციხეში ჩამალპობს, ან კიდევ საიქიოში გამისტუმრებს! დიახ, თუ პირველ ტურში ბევრს ეგონა, ბიძინა ივანიშვილი უჩემოდაც მოიგებსო, მეორე ტურში ამ ბევრმა რეალურად ჩახედა საფრთხეს თვალებში და ამიტომაც იდგა რიგები საარჩევნო უბნებში, რაის კარტოფილი და რომელი ხახვი? მოკლედ, ქართველი ხალხი მართლა ბრძენია, რომ ეს მახინჯები ხელისუფლებაში არ მოუშვა!

P.შ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, სიტყვა "მახინჯი" ნიშნავს ხეიბარს. ნუ, ეხლა არც წულუკიანია ხეიბარი, არც ზურაბიშვილი და არც ჩუგოშვილი... აი, ყველა "ნაცი" რომ ტვინით ხეიბარია მიხოს მეთაურობით, ამას მთელი ქვეყანა ხედავს. ვინც ვერ ხედავს, ისიც ხეიბარია!

**გელა ზედელაშვილი**

# განათლების დარგი – საქართველოს ბერმუდის სამკუთხედი



## მანანა ნიკოლაიშვილი – 28 ათასი მასწავლებელი როგორ უნდა ეყოს 600 ათასზე მეტ მოსწავლეს, არ ვიცი

**2018 წლის ბოლოს ქართველი მასწავლებლებისთვის ორი არასასიამოვნო სიახლის შესახებ გახდა ცნობილი:**

**1. 2019 ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მასწავლებლების საბაზო ხელფასის ზრდა არ იგეგმება. მასწავლებლების ხელფასის მნიშვნელოვანი ზრდა მხოლოდ 2020 წლიდან არის მოსალოდნელი.**

**2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საჯარო სკოლების პედაგოგთა მკვეთრ შემცირებას გეგმავს. გავრცელებული ინფორმაციით, ამგვარად მასწავლებელთა საბაზო ხელფასის მატება გახდება შესაძლებელი, რომელიც დღეს 405 ლარს შეადგენს.**

**მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროში მასწავლებელთა მოსალოდნელი შემცირების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ, განათლების სისტემაში დასაქმებული ადამიანები და დარგის სპეციალისტები მოვლენების ამგვარად განვითარებას არ გამორიცხავენ.**

**„საერთო გაზეთს“ განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:**

– დავიწყებ იმით, რომ მასწავლებელთა ხელფასებისთვის ძალიან დიდი ფულია საჭირო, ჩვენ კი ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა არ ვითარდება, მრეწველობა არ არსებობს და ბიუჯეტი განათლებისთვის ფულს ვერ იმეტებს. ამიტომ, ნებისმიერი ხელისუფლების დროს, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და



ექსპერტი რეკომენდაციას გვაძლევდა, რომ მასწავლებლების რიცხვი შემცირებულიყო. მე მაქვს ნანახი დოკუმენტი, სადაც ერთ-ერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია ხელისუფლებას რჩევა-რეკომენდაციას აძლევს, რომ მასწავლებლებს ხელფასები სხვა მასწავლებლების შემცირების ხარჯზე მოუმატონ და ასეც ხდება.. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სკოლებიდან 40 000-ზე მეტი მასწავლებელი გაუშვეს. პრაქტიკულად, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მასწავლებელთა რიცხვი განახევრებულია და ეს პროცესი გრძელდება.

– **როდემდე?**

– საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს თუ მიყვებით, საქართველოში 28 000 მასწავლებელი უნდა დატოვონ და არსებული სახელფასო ფონდი მათზე გაანაწილონ. წარმოიდგინეთ, 67 000-დან 39 000 მასწავლებელი უნდა გაუშვან და უმუშევართა არმიას შეუერთონ. აი, ეს წერია იმ რეკომენდაციებში.

– **როგორ აისახება მასწავლებელთა მასიური შემცირება განათლების ხარისხზე?**

– როგორ და დასვამენ თითო კლასში 60–70 ბავშვს და ვიქნებით აფრიკის ჩამორჩენილი ქვეყნების დონეზე. ბუნებრივია, შემცირებას გადარჩენილ მასწავლებლებს დატვირთვას გაუზრდიან და განაკვეთნახევარს ან ორ განაკვეთს მისცემენ, მაგრამ 28 ათასი მასწავლებელი როგორ უნდა ეყოს 600 ათასზე მეტ მოსწავლეს არ ვიცი. ასეთი წმენდა სააკაშვილის დროს ჩატარდა, როცა მცირესაათიანი მასწავლებლები გაუშვეს. ამ პროცესებს თან ახლავს ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასწავლო საათებისა და დისციპლინების კლება, ფინანსური კლასების შეერთება, მცირეკონტინგენტიანი სკოლების დახურვა და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც ნაციონალები აკეთებდნენ. თითქოს ქართულმა ოცნებამ შეაჩერა ეს პროცესები, მაგრამ მაინც იძულებულს გახდიან..

– **რჩევები და რეკომენდაციები იძულებას არ ნიშნავს და საბოლოო გადაწყვეტილება მაინც მთავრობის მისაღებია.**

– საერთაშორისო ორგანიზაციები ძალიან დიდი დოზით ერევიან საქართველოს საშინაო თუ საგარეო საქმეებში. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამ საერთაშოორისო ექსპერტებმა და ორგანიზაციებმა დაუგდეს რეიტინგი „ქართულ ოცნებას“, თორემ ეს ხალხი სულ სხვა გეგმებით მოვიდა, ჰქონდა ბრწყინვალე პროგრამა მაგალითად, განათლებასა და მეცნიერებაში და პრაქტიკულად, არაფრის გაკეთების საშუალება არ მიეცათ. მე თვითონ ვიღებდი „ქართული ოცნების“ პროგრამის წერაში მონაწილეობას და მახსოვს, როგორ მოდიოდა ბატონი ბიძინა და ესწრებოდა კომისიის შეკრებას. ყველაფერი იცოდა, რაც უნდა გაკეთებულიყო და მოვიდა პარტიის ბრწყინვალე პროგრამით. რატომ არ გაკეთდა?! იმიტომ, რომ არ მისცეს საშუალება ამ საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ნაციონალების გზას გააყოლეს. ვერავინ დამაჯერებს, რომ ხელისუფლებაზე ზეწოლა არ არის და ვიღაცას არ უნდა ნაციონალების მობრუნება. როგორ შეიძლება ამდენი უსაქმური და არაპროფესიონალი ადამიანი მოიყვანო მთავრობაში ან პარლამენტში? თითქოს ვიღაც საგულდაგულოდ არჩევს უვარგის კადრებს, რომ ხელისუფლება დაძიროს. სხვანაირად, როგორ ავხსნა, რომ საპარლამენტო არჩევნების ინ პედაგოგების შემცირება და მასწავლებლებისთვის დაპირებული ხელფასების მომატებაზე უარის თქმა?

– **როგორც ვიცი, მინისტრმა მასწავლებლების ხელფასის ზრდის საკითხი რეფორმის დაგვიანებას დაუკავშირა.**

– რეფორმა რა შუაშია?! მასწავლებლები კატეგორიებად დაყოფილია და რა რეფორმა იგვიანებს? მასწავლებლების შემცირების? სახლში გაშვების? სასწავლო საათების შეკვეცის? მასწავლებლის გაშვებას აზრი არ აქვს, თუ ყველაფერი არ შეამცირეს. სახელფასო ეკონომია რო, გააკეთო და ფული დაზოგო, ან მასწავლებლები უნდა გაუშვა ან ფინანსური კლასები გააერთიანო, ან ორივე ერთად.

საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიები წელიწადნახევრით და ორი წლით ადრე იწყებენ მზადებას და ესენი ახლა, როცა პრაქტიკულად, წამზომი ჩართულია და საპარლამენტო არჩევნებამდე ორ წელზე ნაკლები დარჩა, ასეთ ნაბიჯს დგამენ. წარმოგიდგენიათ რას ნიშნავს არჩევნებში საჯარო სექტორის 67 000 და კერძო სექტორის 10 000 მასწავლებლის და მათი ოჯახის წევრების ხმა? ახლა რომ მოიგეს, არაფერს ნიშნავს. ხალხი წავიდა და სალომე ხმა მისცა იმის გამო, რომ ნაციონალების კანდიდატი არ მოსულიყო, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებზე ცოტა სხვაგვარად იქნება საქმე. იქ „ქართული ოცნება“ უნდა წარსდგეს ხალხის წინაშე. ის „ოცნება“, რომელსაც არაფერი გაუკეთებია ხალხისთვის. ეს არის ხელისუფლება, რომელმაც ხალხი პრაქტიკულად, მიატოვა და არც ერთ დონეზე არ მუშაობს. არც თვითმმართველობის, არც მმართველობის, არც პარლამენტის დონეზე და არც მთავრობის დონეზე. ამ ხელისუფლების ყველა შტო დაცილდა ხალხს თუ არ ჩავთვლით ბიძინა ივანიშვილს და მის ქველმოქმედებას, მაგრამ ივანიშვილი არც მთავრობის წევრია, არც საკანონმდებლო ხელისუფლების და არაფრის. ქართულ ოცნებას რეიტინგი ისედაც შერყეული აქვს და ეს მასწავლებლები ისედაც განაწყენებულები არიან და არა მარტო ხელფასის გამო.. განაწყენებულები კი არა, გაწამებულები და გაგიჟებულები არიან და იმის მაგივრად, რომ ეს მასწავლებლის პროფესიული განვითარების კორუმპირებული, ყოვლად გამოუსადეგარი სქემა გადააგდონ, რაღაც სისულელეებს აკეთებენ. მაგრამ ამ სქემას არ აჩერებენ იმიტომ, რომ ამ კორუმპირებული სქემით უამრავი ადამიანი დიდ ფულს შოულობს. და ბოლოს, ვერც ერთი პარტია, მით უმეტეს მორყეული და რეიტინგშელახული სახელისუფლებო პარტია ვერ გაუძლებს, რომ წინასაარჩევნო კამპანიამდე მასწავლებელთა სექტორში მასშტაბური შემცირებები ჩაატაროს და ხელფასი არ მოუმატოს. ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ვინც არ უნდა მოთხოვოს გაერო იქნება, იუნისეფი თუ სხვა. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთონ, პირიქით მასწავლებლის პროფესიული სქემა უნდა გააჩერონ და ახალი მოდელი შემოიტანონ. თუ ამას არ გააკეთებენ, ჩავთვლი, რომ საკუთარი ნებით უთმიობენ ნაციონალებს ხელისუფლებას. სხვა დასკვნის გამოტანა უბრალოდ, შეუძლებელია.

ნელი თორდია
571 35 36 88



# რატომ იმატა 1989 წელს მხეცურად მოკლული დიქტატორის ჩაუშესკუს საფლავზე გვირგვინების რაოდენობამ?



ჩაუშესკუს ლიკვიდაციიდან ოცდაცხრა წელი გავიდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯალათად და უსასტიკეს ტირანად შერაცხეს რუმინეთში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევებით მოსახლეობის 45–55% მას ხელახლად აირჩევდა ქვეყნის ლიდერად.

ნიკოლაე ჩაუშესკუ რუმინელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ, 1965 წლიდან რუმინული კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, 1974–1989 წლებში კი ქვეყნის პრეზიდენტი. 1989 წლის 25 დეკემბერს(შობას) ტირგოვიშტეში, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ნიკოლაე და ელენე ჩაუშესკუები დახვრიტეს. აღსანიშნავია, რომ 1970-იან წლებში და 1980-იანი წლების პირველ ნახევარში თითქმის ყველა დასავლური ქვეყანა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა ტრანსნაციონალური ფინანსური სტრუქტურები ყველანაირად მხარს უჭერდნენ რუმინეთის მმართველს და მის მიერ გატარებულ პოლიტიკას. რუმინეთი შეღავათიან სესხებს იღებდა, რუმინულ საქონელს დასავლეთის ბაზარებზე ჰქონდა იოლი წვდომა, ”დიდი შვიდეულის” ქვეყნებთან ვაჭრობაში რუმინეთს საკმაოდ კეთილდღეობრივი რეჟიმი გააჩნდა. მსგავს პრივილეგიებს ”ვარშავის ხელშეკრულების” და ”ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს” არცერთი ქვეყანა არ ფლობდა. ჩნდება კითხვა, რატომ? იმიტომ რომ ნიკოლაე ჩაუშესკუ ხშირ შემთხვევაში გმობდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკურ აქციებს (მაგალითად ჩაუშესკუ სოციალისტური ბანაკის ერთადერთი ლიდერი იყო, რომელმაც სასტიკად გააკიცხა 1968 წელს საბჭოთა ტანკების შესვლა ჩეხოსლოვაკიაში) და საერთაშორისო საკითხებში მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი პოზიცია ეკავა. რუმინულ-საბჭოთა ურთიერთობის ზრდადი დაძაბულობა ხელს უწყობდა იმას, რომ რუმინეთის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები რისკის ქვეშ დამდგარიყო. თან ბრეჟნევი და სუსლოვი ”ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს” სხვა წევრებს (ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია) აიძულებდნენ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები რუმინეთთან შეემცირებინა თ. ასევე ზემოქმედების სხვა მეთოდებიც გამოიყენებოდა. ამ პირობებში რუმინეთი იძულებული იყო დასავლეთის ქვეყნებისთვის და მათი სტრუქტურებისთვის ფინანსურ-ეკონომიკური დახმარებისთვის მიემართა. რუმინული წყაროების და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებების მიხედვით ”ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს” ქვეყნებთან ურთიერთობის გართულების შედეგად რუმინეთის დანაკარგები 1980–1985 წლებში სამ მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენდა. შედეგად, ყბადაღებული “პერესტროიკის” დასაწყისისთვის რუმინეთი დასავლეთის მნიშვნელოვანი პარტნიორი გახდა. 1975–1985 წლებში რუმინეთს 22 მლრდ. დოლარის ოდენობის დასავლური კრედიტი მიეცა, მათ შორის ათ მილიარდ უშუალოდ აშშ-სგან მათი დაფარვის ვადა 1990–1996 წლებზე მოდიოდა. მაგრამ როგორც დასავლურ პრესაში აღნიშნავდნენ დასავლური ქვეყნების ლიდერები ბუქარესტს ვალის გადახდას პოლიტიკურად სთავაზობდნენ: მაგალითად გადაკვრით ურჩევდნენ ჩაუშესკუს ”ვარშავის ხელშეკრულების” და ”ეკონომიკური ურთირთდახმარების საბჭოს” დატოვებას, ანუ რუმინეთს საბჭოთა კავშირთან ღია კონფრონტაციისკენ მოუწოდებდნენ. მაგრამ ჩაუშესკუ მსგავს რჩევებს და მოწოდებებს თავის დასავლელი პარტნიორებისგან არ იღებდა და აცხადებდა, რომ რუმინეთი თავის ვალებს გათვალისწინებულ დროზე ადრე დაფარავდა. საბჭოთა ”პერესტროიკამდე” დასავლეთი ჩაუშესკუს ”დიქტატორს” და “სტალინისტს” არ უწოდებდა, არც ”რუმინელი ხალხის ჯალათის” სახელით მოიხსენიებდა, მაგრამ 1985 წლის შემდეგ დასავლურმა პრესამ აქტიურად დაიწყო რუმინელი ლიდერის შემკობა მსგავი ეპითეტებით. ცოტა ხანში ”დიდი შვიდეულის” ოფიციალურმა წარმომადგენლებმა და ლიდერებმაც ანალოგიური რიტორიკით დაიწყეს ჩაუშესკუს წინაალმდეგ საუბარი. უფრო მეტიც, 1986 წლამდე რუმინეთი აშშ-ის ქვანახშირისა და ნავთობქიმიური მრეწველობის სფეროს აქციებსაც კი ფლობდა, ხოლო ჩაუშესკუს ვიზიტები აშშ-ში და დასავლეთის ქვეყნებში 1985 წლამდე გრანდიოზულ მიტინგებში გარდაიქმნებოდა ხოლმე და





რუმინელი ლიდერი მთელმა მსოფლიომ გაიცნო. 1987 წელს რუმინეთს აშშ-ის ქვანახშირისა და ნავთობქიმიური მრეწველობის სფეროს აქციები ჩამოართვეს, ხოლო დასავლეთის ქვეყნებში მისი მიპატიჟებები იმ წელსვე შეწყდა. 1987 წელს რუმინეთს დასავლური კრედიტების მიღებაზე შეზღუდვა დაუწესეს და 1987–1988 წლებში ”დიდი შვიდეულის” წევრებთან ვაჭრობაც მაქსიმალურად გაურთულეს. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ დასავლეთმა ჩაუშესკუ ბლოკადაში მოაქცია. რატომ? პირველ რიგში იმიტომ რომ რუმინელმა ლიდერმა ”პერესტროიკის” კონცეფცია არ გაიზიარა და მას მხარი არ დაუჭირა. 1985 წლის შემდეგ რუმინეთმა გააააქტიურა კავშირები კუბასთან, ჩინეთთან, ალბანეთთან, ირანთან, ლიბიასთან და კორეის სახალხო რესპუბლიკასთან. ჩაუშესკუ აღნიშნავდა რომ ”პერესტროიკას” სოციალიზმი და სოციალისტური სახელმწიფო კრახთან და კომპარტიის შემდგომ ჩამოშლასთან მიყავდა. 1988–1989 წლებში ამერიკულ და ბრიტანულ პრესაში აღნიშნავდნენ, რომ ჩაუშესკუ ”დასავლეთის და გორბაჩოვის პრობლემა” ხდებოდა და რუმინეთს შეეძლო ”პერესტროიკის” მოწინააღმდეგე სოციალისტური ქვეყნების მედიატორის და შემაკავშირებელის როლი ეთამაშა. რუმინეთმა თითქმის შეუძლებელი შეძლო და ძალიან მალე დაფარა საკუთარი დავალიენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ზოგადად დასავლეთის მიმართ. პირველად ომისშედგომი პერიოდის განმავლობაში რუმინეთის ექსპორტმა ხუთი მილიარდი დოლარით გადააჭარბა იმპორტს. ამან ქვეყანას საშუალება მისცა ბევრი ეკონომიკური სირთულე გადაელახა, რაც გამოწვეული იყო დასავლეთის პოლიტიკის ბლოკადით და გორბაჩოვის საბჭოთა კავშირთან მიმართებაში არსებული პრობლემებით. რუმინული და უნგრული პრესის თანახმად (რაც რუმინეთში მხოლოდ 1995 წელს გამოქვეყნდა) 1987 წლიდან რუმინეთში შეაღწიეს სპეციალურად მომზადებულმა აგენტებმა საბჭოთა კავშირიდან, უნგრეთიდან, ისრაელიდან, აშშ-დან, გერმანიიდან და დიდი ბრიტანეთიდან. მათ ”სამსახური” ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებდა. ზოგიერთი მონაცემის თანახმად მათი რაოდენობა 1989 წლისთვის 500-ს აღწევდა. რუმინეთის სიტუაცია იმითაც იყო უნიკალური, რომ ამერიკულმა და საბჭოთა სპეცსამსახურებმა ერთობლივი ძალებით დაიწყეს ჩაუშესკუს წინაალმდეგ სხვადასხვა სცენარების დაგეგმვა. სხვადასხვა წყაროების მიხედვით რუმინული თემა 1988 წელს იყო ერთ-ერთი უმთავრესი გორბაჩოვის, შევარდნაძის, გრომიკოს და იაკოვლევის დასავლეთის ოფიციალურ წარმომადგენლებთან, მათ შორის ბზეჟინსკითან და კისინჯერთან მოლაპარაკებებისას. 1989 წელს რუმინეთმა სრულად გაისტურმა დასავლეთის ვალი ოცდაორი მილიარდი დოლარის ოდენობით, რაც იმ დროისთვისაც და შემდგომაც უნიკალურ მოვლენად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამის შემდგომ ჩაუშესკუმ განაცხადა რომ დასავლური ფინანსური ინსტიტუბისგან კრედიტის აღებას აღარ აპირებდა. 1989 წლის დეკემბერში მალტაზე აშშ-ის პრედენტის, ჯორჯ ბუშის და მიხელ გარბაჩოვის შეხვედრა შედგა, სადაც ირანული, ამერიკული, ლიბიური და ჩინური წყაროების მიხედვით რუმინეთის ლიდერს საბედისწერო განაჩენი გამოუტანეს. სწორედ მალტაზე იქნა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება რუმინეთში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის და ჩაუშესკუს ლიკვიდაციის შესახებ. 1989 წლის 21 დეკემბერს რუმინეთში სისხლიანი გადატრიალება მოხდა. ჩაუშესკუ და მისი მეუღლე ელენა ყოველგვარი გამოძიების და საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულებელყოფით ცხოველებივით ამოწყვიტეს (შობის დღეს). მათ სხეულში 120-მდე ტყვია იპოვეს დახვრეტის შემდეგ. რუმინელი ლიდერის უკანასკნელი სიტყვები ესე ჟღერდა: “გაუმარჯოს რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას და დამოუკიდებლობას” გადატრიალებიდან რამდენიმე დღეში ბუქარესტში ჩავიდა საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე, რომელმაც პუტჩისტებს ტირანისაგან რუმინეთის განთავისუფლება მიულოცა. დიქტატორის სიკვდილიდან წლების შემდეგ გაირკ-



ვა, რომ ნიკოლაე ჩაუშესკუს საბანკო ანგარიშები საზღვარგარეთ არასდროს ჰქონია. დღევანდელ რუმინელ პოლიტიკოსებს აღელვებთ ის ფაქტი, რომ ქვეყნის მოქალაქეები ნიკოლაე ჩაუშესკუს მიიჩნევენ ადამიანად, რომელმაც რუმინეთს ბევრი კარგი გაუკეთა. ნიკოლაეს და ელენას საფლავებზე კი ყვავილების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

# ვინ მოუწყო საფრანგეთს „ფრანგული გაზაფხული“ ზამთარში?

კიდევ ერთხელ დადასტურდა მსოფლიო წამყვანი პოლიტოლოგების შეფასება — ტრამპის პოლიტიკური სვლების გათვლა შეუძლებელია. სწორედ იმ დროს, როდესაც ტრამპი სინ ძინ პინს ხვდებოდა, კანადაში აშშ-ის მოთხოვნით დააპატიმრეს ერთ-ერთი უდიდესი ჩინური ტელეკომუნიკაციების გიგანტური კორპორაციის „ჰუავეის“ კომერციული დირექტორი ვან ჯოუ. დაკავების შესახებ მხოლოდ სამი დღის შემდეგ გახდა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ვან ჯოუ კორპორაციის დამფუძნებლის და მფლობელის შვილია. კომერციულ დირექტორს ბრალად ირანთან დაწესებული სანქციების პირობების დარღვევა წაუყენეს. კანადის ვანკუვერში „ჰუავეის“ დირექტორის დაკავებამ გაალიზიანა და აღაშფოთა არამარტო ჩინეთის ხელისუფლება, მოსახლეობაც. მათი შეფასებით, ჩინეთის უსაფრთხოებას დაემუქრა საფრთხე.

ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასი აღმოჩნდა ამერიკულ პრესაში გავრცელებული ცნობა, თითქოს დონალდ ტრამპმა კმაყოფილება გამოთქვა ქალბატონ ვან ჯოუს დაკავებაზე. „...შესაძლოა, ამით სავაჭრო ომი ჩვენს სასარგებლოდ დავასრულოთ და ჩინეთზე გავლენა გავაძლიეროთო“, უთქვამს ტრამპს. აშშ-ის პრეზიდენტს არც სახელმწიფო მდივანი ჩამორჩა — ...გადაწყვეტილების მიღებისას ყველამ ჩვენი ინტერესები უნდა გაითვალისწინოსო“, განაცხადა.

ჩინეთის ხელისუფლებამ, თავისთავად, პროტესტი გამოთქვა და დაგმო ბიზნესმენის დაკავება. ამის გარდა, მოქმედებაზე გადავიდა და ორი კანადის მოქალაქე, რომელთაგან ერთი დიპლომატია, დააკავეს ჩინეთში. მიმომხილველები არ გამორიცხავენ, რომ ჩინეთმა ეკონომიკური კუთხითაც შეუტიოს აშშ-სა და კანადას. სიტუაცია იმდენად დაიძაბა ქვეყნებს შორის, რომ კანადის პრემიერ-მინისტრს ჯასტინ ტრიუდოს თავის მართლება მოუხდა. ჩვენ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა გვაქვს და მის საქმიანობაში არ ვერევითო, განაცხადა მომხდარის კომენტირებისას. კანადის მართლმსაჯულებამ ვან ჯოუ პატიმრობიდან გაათავისუფლა, თუმცა ქვეყნის დატოვების უფლების გარეშე. რაც შეეხება ექსტრადაციას, რასაც დაჟინებით ითხოვდა აშშ, ჯერჯერობით გადაიდო და, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ.

აშშ-ში პროკურორ მიულერის საგამოძიებო ჯგუფი კვლავ აგრძელებს მუშაობას და უკვე 30 მილიონი დოლარი დახარჯეს. გამოძიების პერიოდში საპრეზიდენტო არჩევნებში რუსულ კვალს ვერ მიაგნეს, ამიტომ ახლა ფინანსურ საკითხებზე გადაერთვნენ. დონალდ ტრამპის ყოფილ ადვოკატს მაიკლ კოენს თავდაპირველად წინასაარჩევნო პერიოდში რუსეთთან კავშირს ედავებოდნენ, მაგრამ, საბოლოოდ, ფინანსური დარღვევებისთვის რამდენიმე მუხლით გაასამართლეს და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. კოენი სასჯელის მოხდას ციხეში 6 მარტიდან (?) შეუდგება. ამერიკელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ფინანსური საკითხების გამოძიება ტრამპის მომხრეების ერთგვარი გაფრთხილებაა. ამის გარდა, მიულერის ჯგუფი დაინტერესებულია წინასაარჩევნოდ დახარჯული შემოწირულობით შეგროვილი 100 მილიონი დოლარით. წარადგენს თუ არა ხარჯთაღრიცხვას ტრამპის გუნდი, სავარაუდოდ, საახალწლო არდადეგების შემდეგ გამოჩნდება.

უკვე ხუთ კვირაზე მეტია, საფრანგეთის მოსახლეობა შიშით ელოდება შაბათის დადგომას. „ყვითელი ჟილეტების“ აქციები ქვეყნის მასშტაბით საწვავის ფასის მომატების დაანონსების შემდეგ დაიწყო. მშვიდობიანი აქციები სხვადასხვა ორგანიზაციების დარბევებში გადაიზარდა. პოლიციელებთან შეტაკების შედეგად ორივე მხარეს არიან დაშავებულები. უპრეცედენტოდ ბევრი მომიტინგის დაპატიმრება გახდა აუცილებელი. დაზარალდნენ ჟურნალისტებიც, ზოგიერთი ცრელმსადენი გაზით, ზოგიც რეზინის ტყვიებით. რომ არა ჩაფხუტი, შესაძლოა, რეზინის ტყვიებს სავალალო შედეგები მოჰყოლოდა. წინასწარი გათვლებით, საფრანგეთში თვენახევრიანმა აქციებმა დარბევების თანხლებით ხაზინა მილიარდ ევროზე მეტით აზარალა. აქ მხედველობაში არ აქვთ განადგურებული კერძო მაღაზიები, კაფეები და დამწვარი ავტომობილები.

ევროპელმა ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ საფრანგეთში აქციები მას შემდეგ აგორდა, რაც პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გააჟღერა ერთიანი ევროპული ჯარის შექმნის აუცილებლობა. ამის გარდა, პარალელს ავლებენ 2011 წლის ე.წ. „არაბულ გაზაფხულთან“, როდესაც ერთბაშად რამდენიმე ქვეყანა მოიცვა „ფერადმა რევოლუციებმა“. ექსპერტები აღნიშნავენ, საფრანგეთში აქციები სპონტანური არ ყოფილა, მართული იყო. თუმცა ვინ იყო დამკვეთი, დირიჟორი, ვერ ასახელებენ. რადიკალურად განწყობილი მომიტინგეები რომ იმართებოდნენ, აშკარად ჩანდა ეკრანზე. დავალებებს წითელ სამოსებში ჩაცმული ადამიანები აძლევდნენ.

საინტერესოა რომ დონალდ ტრამპმა ემანუელ მაკრონს აქციების დაწყებისთანავე შესთავაზა პარიზის კლიმატის შეცვლის ხელშეკრულებიდან გამოსვლა და ნატოს დაფინანსების გაზრდა. წინადადებამ კიდევ უფრო გაუძლიერა ეჭვი ექსპერტებს, რომ აქციები მართულია. ევროპელი ჟურნალისტების ვარაუდით, ტრამპმა არ აპატია მაკრონს, აშშ-ისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების მცდელობა. მაკრონი იძულებული გახდა, დათმობებზე წასულიყო — მოსახლეობას შეპირდა მინიმალური ხელფასის გაზრდას, საწვავის ფასევის უცვლელად დატოვებას და ა. შ. რაც საფრანგეთის ხაზინას 15 მილიარდი ევრო დაუჯდება.

სტრასბურგში საფრანგეთის ერთ-ერთ მთავარ ქალაქში. გასულ კვირას საშობაო ბაზრობაზე მარტოხელა ტერორისტმა ავტომატური იარაღით ოთხი ადამიანი მოკლა, 15 დაჭრა. დამნაშავეს პოლიცია 3 დღე ეძებდა, რომელიც წინააღმდეგობის გაწევის დროს მოკლეს. ექსპერტები აღნიშნავენ, ტერაქტი მაკრონს აძლევს ხელსო. თავის მხრივ, მაკრონმა მოუწოდა მოსახლეობას, თავი შეიკავონ აქციებისგან, რათა თავიდან აიცილონ გაუგებრობები. მიუხედავად თხოვნისა, საფრანგეთის ქალაქებში გასულ შაბათს მაინც გაიმართა შედარებით მცირერიცხოვანი აქციები, მაგრამ პოლიციას კვლავ დასჭირდა წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენება. დასავლეთის პრესის მიხედვით, საფრანგეთში მსგავსი აქციები 1968 წლის შემდეგ არ ყოფილა. პოლიტოლოგების განცხადებით, სოციალური საკითხები მხოლოდ შირმაა და მთავარი მიზანი ხელისუფლების შეცვლაა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პარალელურად ევროპის რამდენიმე ქვეყანაშიც მართავენ აქციებს ე.წ. „ყვითელჟილეტიანები“. მოხდება თუ არა ფერადი რევოლუციები „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე, მომავალში გამოჩნდება.

**გია ბურდული**
551 71 27 07





# მაქსიმ შევჩენკო: რუსებისთვის ქართველები მენტალურად ყველაზე ახლობელი ხალხია

**ცნობილი რუსი ჟურნალისტის მაქსიმ შევჩენკოს „ეხო მოსკვისთვის“ მიცემული ინტერვიუ, სადაც ის რუსულ ქართულ ურთიერთობებზე საუბრობს და საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს აფასებს, ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისთვის.**

— ქართველმა ხალხმა ხმა მისცა სალომე ზურაბიშვილს, მას პირადად ვიცნობ, ვულოცავ ამ გამარჯვებას. ქართველებმა მხარი იმიტომ დაუჭირეს სალომე ზურაბიშვილს, მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდოდათ სააკაშვილის დაბრუნება. კითხვა მიჩნდებოდა, თვითონ ბიძინა ივანიშვილი რატომ არ ბრუნდება ხელისუფლებაში, პასუხი ცალსახაა, მას ამის უფლებას არ აძლევენ ამერიკელები, რომლებიც მთლიანად აკონტროლებენ პოლიტიკურ პროცესს. რამდენადაც ვიცი, ქართულ საზოგადოებაში უკვე სულ სხვა დამოკიდებულება მწიფდება ამ რეალობის მიმართ, ათეულობით ქართველთან მისაუბრია, მათგან ვიცი, რომ ქართველ ხალხს არც მმართველი ძალა მოწონს და არც ნაციონალები, ის ელოდება ნამდვილად ეროვნულად განწყობილ ძალას, რომელიც გადაარჩენს მართლმადიდებლურ საქართველოს, ძველ იბერიას.

კითხვაზე თავად რუსეთისთვის რა მნიშვნელობა ექნება სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებას, შევჩენკო აცხადებს, რომ რუსეთი ვერ აკონტროლებს საქართველოში ვითარებას, არც ესმით ეს, თუმცა არის ხალხი, ვისაც ესმის, მაგრამ მათ ხელფეხი შეკრული აქვთ.

მაქსიმ შევჩენკო: „მე არ მესმის, დღემდე რატომ გვაქვს საქართველოსთან სავიზო რეჟიმი, როცა საქართველოს რუსეთის მოქალაქეების მიმართ უვიზო რეჟიმი აქვს დაწესებული. ამის ახსნა შეიძლება, ვიღაც უბრალოდ ბლოკავს მართლმადიდებელ ქართველ ხალხთან, ძველ ქრისტიანებთან ჩვენს ურთიერთობას, რომ ქართველები ჩამოვიდნენ და მოილოცონ რუსული ტაძრები, მაგალითად ლავრა თუ ამისი სურვილი ექნებათ. პატრიარქი ილია მეორე ხომ თავის დროზე ამ ლავრის სემინარიაში სწავლობდა. რუსებისთვის ქართველები მენტალურად ყველაზე ახლობელი ხალხია, შეიძლება ითქვას უკრაინელებზე ახლობლებიც კი. მართლმადიდებელი ქართველები ჯვრის მონასტრით, სვეტიცხოველით, ქართული, კავკასიური ბერმონაზვნობით, საბჭოთა პერიოდში ბევრჯერ ვყოფილვარ, შევხვედრივარ ბერებს, ისინი ჩვენთვის ძალიან ახლობელი ხალხია. ქართველებთან მაშინვე პოულობ საერთო ენას, უკრაინელებთან უძნელდებათ რუსებს საერთო ენის პოვნა, აი, ვის უნდა ვეძახდეთ მოძმე ხალხს. ბოლო-ბოლო ქართველის ხელისუფლების სათავეში ყოფნისას მიაღწია რუსეთმა ისეთ უდიდეს პოლიტიკურ წარმატებებს, როგორიც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ ჰქონია. ამიტომაც ვთვლი, რომ ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტით, ჩეხავენ ქართველებსა და რუსებს შორის სასიცოცხლო კავშირს. ქართველებისთვის ორი რამ არის მნიშვნელოვანი, ეროვნული აღმავლობა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“.

წამყვანის კომენტარს, რუსეთი არასდროს დაუშვებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასო, შევჩენკომ მკვახედ უპასუხა, რუსეთის ფედერაცია რუსეთი არ არის, რუსეთის ფედერაცია რუსეთის რაღაც ნამსხვრევია, რომელიც იმართება საერთაშორისო კორპორაციების მიერ ადგილობრივი ბიუროკრატების მხარდაჭერით. არ შეიძლება რუსეთის ფედერაცია ისტორიულ რუსეთთან ასოცირდებოდეს, ისტორიულ რუსეთს არავითარი კონფლიქტი არ აქვს საქართველოსთან და არც შეიძლება ჰქონდეს. რაც შეეხება 2008 წლის ომს, ეს იყო მედვედევ-ვარკოვიჩისეული თამაშები, ვარკოვიჩმა და ბაქრაძემ პასუხი გასცენ, როგორ გაუკეთეს ორგანიზება და მოაწყვეს ეს ომი. ეს სამარცხვინო, ბინძური ომი, რომელიც ორივე მხრიდან იყო პროვოცირებული რაღაც პარტიების მიერ, ვითარების გასამწვავებლად, ვიღაცას პუტინის ჩამოშორება უნდოდა, რომელიც იმ პერიოდში პეკინის ოლიმპიადაზე იყო წასული, ვიღაცას კიდევ რაღაც საკითხების გადაწყვეტა უნდოდა. ოდესმე გავიგებთ სრულ სიმართლეს ამ ყველაფერზე, ისე, რაზე ვლაპარაკობ, როცა საბჭოთა პერიოდის არქივების 70% დღემდე გასაიდუმლოებულია, დღემდე ეშინიათ გახსნა. აშკარად, ვიღაც „ჩამშვებების“ შთამომავლობას, რომლებიც ხელისუფლებაში არიან, არ უნდათ გავიგოთ მათი გვარები, მაგრამ ვფიქრობ, ოდესღაც გავხსნით არქივებს და გავიგებთ რეალურად რაც ხდებოდა.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# გიორგი მარგველაშვილი – კაცი, რომლის მოღვაწეობამ საქართველოს უხვად მოუტანა სისხლი და ცხედრები!

შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ წერილის სათაურად გამოტანილი ეს სიტყვები,, გიორგი მარგველაშვილი – კაცი, რომლის მოღვაწეობამ საქართველოს უხვად მოუტანა სისხლი და ცხედრები”, ზედმეტად გაზვიადებული, ან სულაც არარეალურია, თუმცა გიორგი მარგველაშვილის მიერ განვლილ 5 წლიან საპრეზიდენტო გზას თუ თვალს გავადევნებთ, ამ გზაზე ცხედრებსაც ბევრს ნახავთ, სისხლსაც და ცრემლსაც.

მართალია, პირადად გიორგი მარგველაშვილს არავინ მოუკლავს, არც არავინ დაუჭრია და არც არავინ უწამებია, მაგრამ ამას აკეთებდნენ „გულჩვილი“ მარგველაშვილისგან შეწყალებული და ვადაზე ადრე გათავისუფლებული ადამიანები.



შეწყალება დანაშაული ხომ არ არის? შეწყალების უფლება პრეზიდენტს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული და შეწყალებულთაგან რომელიმემ დანაშაული თუ ჩაიდინა, ეს მარგველაშვილის ბრალი იყო? – შემომედავებიან ალბათ ვიღაც-ვიღაცები.

სინამდვილეში ასე მარტივად სულაც არ არის საქმე, როგორც ამას ზოგიერთები წარმოაჩენენ.

გიორგი მარგველაშვილმა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში 3 500 –მდე პატიმარი შეიწყალა, რაც იმას ნიშნავს, რომ პატივცემული გიორგი დღეში 2 კაცს იწყალებდა.

საიდან მივიღეთ ეს ციფრი?

უბრალო არითმეტიკაა – 5 წელიწადში 1825 დღეა, ამას თუ გამოვაკლებთ დასვენების დღეებს მივიღებთ 1585 დღეს. 3 500 რომ გავყოთ 1585 – ზე უდრის 2- ს, ცოტათი მეტს.

დიახ, პრეზიდენტი მარგველაშვილი დღეში მინიმუმ 2 კაცს (ცოტათი მეტს) იწყალებდა.

ისმის კითხვა: როგორ ასწრებდა ბატონი გიორგი დღეში 2 კაცის საქმის განხილვას და შესწავლას?

განხილვას და შესწავლას თავი დავანებოთ, როგორ ასწრებდა ბატონი გიორგი დღეში 2 კაცის საქმის თუნდაც ზერელედ გადაშლას და გადაფურცვლას?

მას ამაში შეწყალების კომისია ეხმარებოდა, რომელიც ყურადღებით სწავლობდა შეწყალების თხოვნით შემოსული პატიმრების მრავალტომიან საქმეებს, იქიდან ირჩევდა იმ კონტიგენტს, რომელიც ამა თუ იმ ნიშნით შეიძლებოდა შეწყალებას, ვადაზე ადრე გათავისუფლებას ან სასჯელის შემცირებას დაქვემდებარებოდა და ამ გაცხრილულ სიას აწვდიდა პრეზიდენტს – მეტყვიან ოპონენტები.

ჩვენც სწორედ ამ გაცხრილულ სიაზე გვაქვს საუბარი და იმ 3 500 კაცზე, რომელთაც პრეზიდენტ მარგველაშვილის კეთილი ნებით დროზე ადრე ეღირსათ,, სვაბოდაზე” გამოსვლა.

ათასი საქმე ჰქონდა პრეზიდენტ მარგველაშვილს, დაწყებული უცხოური ვოიაჟებით და დამთავრებული ვეტოების დადებით, მაგრამ ამ უამრავი საქმეებით მხრებდამძიმებული მაინც ასწრებდა პატიმრებისთვისაც,, მიეხედა”.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი არ დაამახსოვრდება საზოგადოებას მნიშვნელოვანი პოლიტიკური წარმატებით ან არსებითი საზოგადოებრივად სასარგებლო მოღვაწეობით, რასაც ალბათ აქვს, როგორც სუბიექტური ისე ობიექტური წინაპირობები. თუმცა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს მისი პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასება ამ მასალაში, აქ გვსურს საზოგადოების ყურადღება გავამახვილოთ მარგველაშვილის საქმიანობის იმ მიმართულებაზე, რაც ნაკლებად საჯაროა და არსებითად აღძრავს კონკრეტულ ეჭვებს მისი და მისი ადმინისტრაციის კონკრეტული წევრების მხრიდან, მსჯავრდებულთა შეწყალების კონსტიტუციური უფლებამოსილების მიკერძოებულად გამოყენებასთან დაკავშირებით.

გარდა ნეპოტისტური და ნათესაური ინტერესებით განხორციელებული არაერთი შეწყალების აქტისა (რაზეც პრესაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია), რაც საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, როგორც კულუარებში ამბობენ, ბატონმა გიორგიმ შეწყალების მექანიზმს დამატებითი ე.წ.,, კომერციული დატვირთვა” მიანიჭა და მარტივი ენით რომ ვთქვათ, ფულის საკეთებელ მექანიზმად გადააკეთა, რასაც ის განსაკუთრებით აქტიურად საკუთარი საპრეზიდენტო ვადის ბოლო წელს წარმატებით იყენებდა.

როგორც კულუარებში ამბობენ, იმ წუთიდანვე, რაც მარგველაშვილი განათლების მინისტრად დაინიშნა. მან ისარგებლა წლების განმავლობაში ფარული, მაგრამ მყარად შენარჩუნებული კავშირებით ნაცმოძრაობასთან და სრულად გადმოიბარა ჯერ კიდევ წინა განათლების მინისტრის დიმიტრი შაშკინის დროს ამ სამინისტროში დალაგებული ბიზნეს ინტერესების სრული სპექტრი და საკუთარი რამდენიმეთვიანი განათლების მინისტრობის დროს, იმ დრომდე არნახული უკანონო ფინანსური შემოსავლები მიიღო. როგორც ამბობენ, მარგველაშვილმა გრიფირებული წიგნების თემის უცვლელად დატოვებაში, რაც ჯერ კიდევ შაშკინის დროს იყო,, დალაგებული” დასაბუთებული ვარაუდით და ჩვენი კონფიდენციალური წყაროს თქმით, (წყაროს ვერ ვასახელებთ, მისივე თხოვნით), არა ერთი მილიონი დოლარი მიიღო კონტრაქტორი ფირმებისგან,, ბონუსის” სახით. ამით მან, რა თქმა უნდა, ერთგვარად თავი დაივალდებულა ნაცმოძრაობის მნიშვნელოვანი გავლენების მქონე ფიგურების წინაშეც, ვინც მას განათლების სამინისტროში არსებული ეს,, მსუყე ლუკმა” გადაულოცა.

ამავე წყაროს თქმით, ბატონმა გიორგიმ შემდგომში, უკვე როგორც პრეზიდენტმა შეწყალების კომისიის თავჯდომარის ზვიად ქორიძის ეფექტური გამოყენებით მსჯავრდე-



ბულთა შეწყალება ნამდვილ,, კომერციულ საქმიანობად” აქცია და ამ მიმართულებიდანაც დიდძალი ფინანსური შემოსავალი მიიღო.

რა თქმა უნდა, ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში შეუძლებელია ეჭვის გამომრიცხავი მტკიცებულებების სტანდარტით დადგინდეს პრეზიდენტი მარგველაშვილისა და მისი დამხმარის ზვიად ქორიძის კორუფციული პრაქტიკის ყველა ასპექტი. თუმცა ქართულ სზოგადოებას კარგად ახსოვს პრეზიდენტი მარგველაშვილის მიერ სასჯელისგან შეწყალებული არაერთი პირის ამბავი, რომლებიც მიუხედავად ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე და ძალადობრივი დანაშაულებისა, ვადაზე ადრე ტოვებდნენ საპატიმროებს და შემდგომ კვლავ ჩადიოდნენ უმძიმეს დანაშაულებს. ბოლო



ფაქტი, შეწყალებული მკვლელს, პედოფილის მიერ, გორში სასტიად მოკლული გოგონას ამბავი რად ღირს...

საპატიმრო დაწესებულებებს ტოვებდნენ ისეთი მსჯავრდებულებიც, რომელთა დროზე ადრე გათავისუფლებაში კონკრეტული თანხები იყო გადახდილი, თითქმის ყველა შეწყალების აქტის გამოცემისას როგორც ჩვენი წყარო გვეუბნება.

იმისთვის რომ პრეზიდენტი მარგველაშვილს ზვიად ქორიძის დახმარებით ფორმალურად კანონიერი სახე მიეცა ფულის სანაცვლოდ შეწყალების უკანონო პრაქტიკისთვის, თავად მარგველაშვილმა, მის მიერვე გამოცემულ,, შეწყალების წესში” შეიტანა სპეციალური დათქმები (წესის მე-2 და მე –3 მუხლებში), რომ საჭიროების შემთხვევაში ე.წ.,, განსაკუთრებული გარემოების” არსებობის მიზეზით, მოეხდინათ ნებისმიერი მსჯავრდებული პირის სასჯელისგან შეწყალება, მიუხედავად ამავე წესის თანახმად დადგენილი ფორმალური კრიტერიუმების არ არსებობისა. რაღათქმაუნდა, ე.წ.,, განსაკუთრებულ გარემოებას” მარგეველაშვილისა და ქორიძისთვის მხოლოდ მსჯავრდებულის თავისუფლებაში გადახდილი თანხა წარმოადგენს, თორემ ყველა სხვა შემთხევაში,, არადაფინანსებული” მსჯავრდებულების შეწყალების საკითხის არსებითი განხილვაც კი არასდროს არ ხდებოდა კომისიის სხდომაზე და მათ ფორმალური უარები მისდიოდათ საპატიმრო ადგილებში.

როგორც ამბობენ, საგულისხმო პრაქტიკა გამოიკვეთა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, როდესაც შესაბამისი თანხის აღების შემდგომ, კომისიის თავჯდომარე ზვიად ქორიძე დაფინანსებული კატეგორიის პატიმრებთან პირადად შედიოდა ციხეში (ეს ცხადია, ცნობილია პატიმრების ადვოკატებისთვისაც), და უშაუალოდ ატყობინებდა მათ მათი საპატიმროდან გათავისუფლების თარიღს, ასე რომ,,, პატრონიანმა” და სათანადო თანხის წინასწარ გადამხდელმა მსჯავრდებულებმა უკვე წინასწარ იცოდნენ თუ რომელი წლის, რომელი თვის, რომელ რიცხვში დატოვებდნენ საპატიმრო საკანს.

მნიშვნელოვანია, რომ თავად ზვიად ქორიძე მისთვის გადაცემულ თანხებს – ქრთამს ან გასამრსჯელოს კი არ უწოდებს, არამედ უტიფრად განმარტავს, რომ ეს ფული ირიცხება ფონდში და მას ამ თანხიდან შესაძლოა მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი შეხვდეს (წყაროს თქმით, სწორედ ასე საუბრობს თავის ახლობლებთან, რომელთაგანაც შეწყალების რეკომენდაციის სანაცვლოდ სოლიდურ თანხებს იღებს), და თანხის უდიდეს ნაწილს თავად პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი განკარგავსო.

ვფიქრობთ, გიორგი მარგველაშვილისა და მისი დამხმარეს ზვიად ქორიძის ქმედებები, კერძოდ, შეწყალების კომისიის მუშაობა შესასწავლია და კარგი იქნება თუ ამ კომისიის საქმიანობას ახლად არჩეული პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი გადახედავს. ასევე ურიგო არ იქნება თუ სამართალდამცავი ორგანოები, კერძოდ, პროკურატურა დაინტერესდება ამ საკითხით, შეისწავლის და შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

ჩვენი წყარო იმასაც ამბობს, თუ ეს ასე არაა და ვინმე მათ ჩირქს სცხებს შეუძლიათ გამოაქვეყნონ რა მუხლებით, რა კატეგორიის მსჯავრდებულები შეიწყალეს, რა ვადაში, რატომ და ვინ არ შეიწყალეს.

დაბოლოს, დაგემშვიდობებით ბატონო გიორგი, აწ უკვე ყოფილო მთავარსარდალო, თქვენი პრეზიდენტობის ვადაც ამოიწურა და „უამრავი საქმით მხრებდამძიმებული” ველარც პატიმრებს მიხედავთ და ჰუმანური თემა სახელად შეწყალება, და შეწყალების კომისია უკანონო ფინანსური შემოსავლის წყაროც აღარ იქნება.

ქეთი ხომერიკი
592 53 53 03



# ფიქრია ყაზაიშვილი – ლექსები

სწავლობდა ადამიანთმცოდნეობისა და პოლიტოლოგია-სოციოლოგიის ინსტიტუტში, შემდეგ სწავლა გააგრძელა შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე. წერს კინოსცენარებს, ლექსებს, მოთხრობებს.

2014 წელს გაიმარჯვა ლიტერატურულ კონკურსში „ასი საუკეთესო ლექსი“. მისი ნაწარმოებები ხშირად იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

ჰყავს ოთხი შვილი.

წარმატებები და შემოქმედებითი გამარჯვებები ვუსურვოთ ამ მრავალმხრივ ნიჭიერ ახალგაზრდა ქალბატონს.

„საერთო გაზეთი“

## ეს მე ვარ

ახლა ქარია, აშრობს სისველეს, საგაზაფხულოდ ამზადებს ქალაქს
და მიხარია, რაღაც ისეთი, რასაც სახელი უბრალოდ არ აქვს.....
ახლა დარია...... გაუბედავად აშიშვლებს მიწა ნაზმორებ მკლავებს
ან სიზმარია ეს ყველაფერი, ანდა ცხადს უნდა რომ სიზმარს გავდეს....
და სადაც უნდა ვცოცხლობდე ახლა, ცხადში თუ სიზმრად, დღისით თუ ღამით....
და ორ ნაბიჯზეც რომ იყოს ჩემგან სიკვდილ სიცოცხლის გზაგასაყარი
მე ვერ შევაქცევ ზურგს ამ სიხარულს, უეცრად მოსულს, სტიქიის მსგავსად...
და მე გადავდებ გარდაცვალებას, თუნდ ცოდვის ვერმიტევების ფასად....
ახლა ქარია, დასანანია, წვეთები კვალსაც რომ არ ტოვებენ...
მეტამორფოზით დაღლილ ქალაქში,წარსულს აწმყოზე ამათხოვრებენ...
რა მიხარია არ ვიცი....ალბათ სითბო, ამ ციცქნა ოთახს რომ ავსებს
ეს მე ვარ, მე ვარ! დიახაც მე ვარ, სამყაროსხელა სიმშვიდით სავსე....

## გენია

დღემ ღამეს მუზების ზმანება მოსტაცა,
მთვარიდან ფარდებათ დაეშვნენ ნოტები,
ხელი შეაცურა ღამეში მოცარტმა,
ხეებმა მიწამდე დახარეს ტოტები.
ერთხელ გაიქროლა ამურის ისარმა
და გადაღალული შექსპირი გაკაწრა,
მას მერე იჯდა და სიყვარულს რითმავდა
რაღაც სხვანაირად და უფრო ლამაზად..
მერე..გამოფრინდნენ მუზები ფერებად,
ქარმა ფოთოლცვენა ბაღებთან მიჰყარა,
ფუნჯი შეაწმინდა დუქანის კედელს და...
ზეცისკენ გასწია შემთვრალმა ნიკალამ.

## მამრი DM-3

შემომახვიე ვნების საბურველი
გატეხილ ღამეში.....
სინდისი ამატკიე მტკივანი კბილივით.....
ყოველი არა მიქციე თანხმობად..
თვალებში ჩახედვით და თხოვნით....
მინდიხარ!
დაღლილი უაზროდ ნატკეპნი ბილიკით
გზად დაგელოდები....
მე თავად არ მოვალ....
შენ მოდი!...უბრალოდ.
ძალიან მარტივად...
თითქოს დედამ გთხოვა და რძეზე მიდიხარ....
პეშვით მომიშვირე შენი გარყვნილება...
ყლუპებად არ დავლევ.....
ერთბაშად გადავკრავ....
თითქოს უდაბნო ვარ, წვიმას დანატრული...
არავის არ ვგავარ...
გეტყვი რომ, არ ვიცი, მჯერა თუ არ მჯერა
ვნების გაზმორებით მოსული წამების...
ან სულაც არაყით გამომთვრალ სიგიჟის..
დამთავრდა...
პარასკევს გაუსწრო შაბათმა..
იქნებ გაყოლოდი?...
წავედი!
აქ სხვა ოქტომბერი არასდროს არ მოვა.....
ოდესმე თუ ჩემსკენ ისევე მოხვდები,
მეტყვი რომ გინდოდი..
მეტყვი რომ გახსოვდა თეთრი პარასკევით
შაბათის მონუსხვა...
მე ფურცლად ამოგხევ
ცხოვრების წიგნიდან
და დავიხურები....
თითქოს არაფერი...
თითქოს არც მოსულხარ... არადა...
ღამე... რომელიც თოვდა შიშველი წვივებით
... ახლაც აქ ტრიალებს. ..
აიღე გასაღები ჩემი სხეულიდან
შენი გარყვნილების...
და ერთ ღრიჭოში მოქცეული
ორის მღელვარებით

## არ მინდა

არ მინდა ტბასავით ვავსებდე კალაპოტს...დუნედ და მოწყენით...
სხვა მინდა...და თუ არ იქნება არასდროს, შენს ბუდეს მოვწყდები...
- სად მიხვალ? – არ მკითხო უაზრო თვალებით და ტონით მაღალით!
ქალაქში სხვაც ბევრნი ივლიან ქალები ....იპოვე ახალი!
არ მინდა სიცოცხლე დახვრიტოს ეჭვმა და სიმძიმემ კამათის,
არ ღირდა სიბნელის ნათელთან შერწყმა და ერთობა ამათი!
არ მინდა სხვის კანში...სხვის როლში ...რომელიც სულ ერთი ფერია..
ატირდა ჰაერი ნაცრისფერ მინორში -- აქ რა დამრჩენია...
არ მინდა ტბას ვგავდე... მორჩილად ვავსებდე ხელოვნურ კალაპოტს,
თუ ვდუმვარ, არ ნიშნავს სათქმელი არა მაქვს... უბრალოდ არ ვამბობ!!

## DM-3

... არ ვიცი რა გითხრა...
დუმილით საშენოდ განმაწყობ...
მე მინდა ვიშვილო
ღამე შუქჩრდილებით
და ჩემში ჩავღვარო...
... შემოდი... თვალებში
მითხარი რას ნიშნავს
შენი ანკესივით
ნასროლი სიჩუმე...
ლამის ამოვარდეს
ეს გული ბუდიდან...
სიჩუმით მიშორებ?
თუ უფრო მიზიდავ...
რა გითხრა, არ ვიცი...
მეგონა, ჩამკეტე...
არა, გასაღები
არც გაგხსენებია
შენ გამიჯახუნე!
მომგლიჯე დარაბებს
უფანჯრო ოთახში
ჟანგბადის გაშვებით
და არ მწერ არაფერს...
სრულიად არაფერს...
როცა ერთმარცვლიანს
მოველი პოემას;
არ გინდა!
რას შვრები!
მე გარდავიცვლები
თუ არ დაველოდე
ჩვენს განმარტოებას.
რა გითხრა ღამეა –
ისევ გაცრეცილი
ცოტა ფერნაკლული
ლექსისთვის ნამეტი...
მე მცივა...
მწყურია...
შენი გარყვნილება...
ერთად მოწეული
ღერი სიგარეტის...
... რა გითხრა? რომც გითხრა...
მითხარი რას მეტყვი
ისეთს, რომ დავმდორდე
როგორღაც მოვთავსდე
ჩემი შეგრძნებების
ვიწრო კალაპოტში...
მინდა არ მინდოდე...
მაგრამ რომ მინდიხარ?
შეჩერდი ... იცოდე!
სხვა მოდის! სხვა მოდის!
მე ის სხვა არ მინდა!
ტყუილად მიდიხარ!
რა გითხრა არ ვიცი!
მინდა დაველოდო
შენგან მრავალწერტილს...
ან ნიშანს ძახილის!
რომ გავთავისუპლდე...
ნუ გაიბუტები
ასე ვერ ვიცხოვრებ!
ასე ვერ ვისუნთქებ!
მითხარი, დავმთავრდით!
მითხარი, ვიჩქარეთ
ამ ჩქარი ქროლვებით
ვნებების მარხილის
მითხარი, ორივე
ავყევით იმპულსებს...
რომ დროა ზამთარის
და არა აპრილის...
... შორია იქამდე?
... რაღაცა მითხარი....
ძალიან მარტო ვარ...
ფიქრები შიშობენ
თენებას უშენოდ...
გრძნობებს ვერ ვალაგებ
მიშველე!!!
იტყვები მიშოვე საჩემო.
... ამ წერილს შენ ალბათ
ამაღამ იპოვი...
პასუხიც იქნება
ხვალამდე დაწერო
... რა გითხრა არ ვიცი...

## გადაატრიალე!

ფანჯრიდან შე-მოსილი ღმერთი
დახურულ ფანჯრებით ვაკავებ სამყაროს
ზიზღის და შიშების....
არ ვიცი რას ვშრები.... უფალო მაღალო, ზვავივით ვიშლები....
დაგმანულ დარაბებს აწყდება მდინარე
მღვრიედ და საშიშად,
არ მინდა დავნებდე, ვიცი რომ ვინანებ....ისევ რომ გაგიშვა!
სარკმელზე წვიმები ტირიან ცოდვების
ზეიმებს მიწაზე,
ვერ გავიღიმები, სიკვდილზე ბოდვები კარგს არას მიზამენ...
აღმართებს შეყოლილ მანძილებს ჩამოვრჩი
ცოდვები მათოვენ,
აღმართე ჯვარი და იმ გზაზე გამოჩნდი
მე რომ მიგატოვე.....
დახურულ ფანჯრებით ვაკავებ ქარებს და
მტვერწაყრილ ოცნებას
დღეს თუ გადავრჩები, ხვალ გავხსნი კარებს და
შევდგები ლოცვებად!

# „ნაცი“ ქალბატონების ფროიდისეული ვნებანი

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაციამ კარგად ჩაიარა, მაგრამ მოხდა ერთი გამაოგნებელი ფაქტი. პროტესტის ნიშნად ერთი კაცი ასფალტზე დაწვა, ერთი ქალი კი მანქანის „კაპოტზე“.

საინტერესოა, რომ ეს მამაკაციც და ის ქალბატონიც „ნაცმოძრაობის“, ანუ, როგორც დღეს თავიანთ თავს უწოდებენ, გაერთიანებული ოპოზიციის მხარდამჭერები და მათი წარმომადგენლები არიან.

„ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერ, შუა ასაკს გადაშორებულ ქალებს, როგორც ვატყობ, აშკარად აწუხებთ სქესობრივი დაუკმაყოფილებლობა. მათ ახლა, როგორც ბუხარს შეშა, ისე სჭირდებათ სექსი, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ წევრებში ძალიან ცოტაა ისეთი მამაკაცი, რომელიც თავის ფუნქციას პირნათლად და დაუზარელად შეასრულებს.





ე. წ. ოპოზიციის წევრი მამაკაცებიდან ზოგი ცისფერია, ზოგი პლანაქეში და ნარკომანი, ზოგი, მაგალითად, ნიკანორ მელიასმაგვარი ბატონები, იმდენს კივიან და ისე უმიზეზოდ ხარჯავენ ენერგიას ჩხავილში, არაფრის თავი აღარ ექნებათ, ხოლო ის მამაკაცი, რომელიც შუა დეკემბერში ცივ ასფალტზე იწვა, აწი, კაცად არ გამოდგება, არც წელი ევარგება აწი მაგას და აღარც ქვედა კიდურები.

ნაცი ქალები კი მოწესრიგებულ, ვაჟკაც პატრულის თანამშრომელ კაცებს რომ ხედავენ, პირდაპირ ისტერიკა ემართებათ და ეგრევე ეკვეთებიან „საჭიდაოდ“.

ხომ დაინახეთ, იმ 130-კილოიანმა ქალბატონმა, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, მანქანაზე დაჯდა. ელასტიკებში გამოწვართული ფეხები გაფშიკა და სულ ფეხსაცმელები უბრაგუნა მანქანის სახურავს.

ხანგამოშვებით, ასეთივე უბედურ დღეში არიან მეგი გოცირიძე, მაია ორჯონიკიძე, თაკო ჩარკვიანი, ქეთა გაბიანი და სხვები — ამათ ერთი, ნაცთათვის პრეზიდენტად წოდებული, საპენსიო ასაკის ულვაშა ვაშაძე კი არა, ჯანიანი კაცები სჭირდებათ!.

შეიცოდეთ, ხალხო, ეს ადამიანები, დააგრილეთ, დაამშვიდეთ ისინი და ქვეყანაც დამშვიდდება.

ძალიან ჭკვიანი კაცი აღმოჩნდა გიორგი გახარია, იმის გარდა, რომ შესანიშნავი მინისტრია, ასევე შესანიშნავი ფსიქოლოგიც ყოფილა. მან რეალურად შეაფასა ოპოზიციონერი ქალბატონების ფსიქოლოგიური და სექსუალური მდგომარეობა, და თავის ბიჭებს შეტევაზე გადმოსულ ქალბატონებთან ბღლარძუნს მაინცდამაინც არ უშლის...

იმედია, ბატონიო მინისტრის მიერ არჩეული სტრატეგია, რომელიც, ალბათ ფროიდის მოძღვრების საფუძვლიან ცოდნას ემყარება, ნაცქალბატონებთან მიმართებაში გაამართლებს. ნაცკაცებს კი, ჯობია, „ვირის აბანოთი“ და ბროწეულის ოყენბით ვუმკურნალოთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18




# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

**— პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მივმართე სააღსრულებო სამსახურს, რომელმაც არ აღასრულა გადაწყვეტილება. რამდენად სამართლიანია ეს?**

— ეს სამართლიანია, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. ანუ, მას არ აქვს დასრულებული სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში. დაელოდეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ასევე, შემდეგ, თუ რომელიმე მხარემ გაასაჩივრეთ საკასაციო ინსტანციაში — საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას...

ასევე, დამატებით გეტყვით შემდეგს: არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაუყოვნებლივი აღსრულება ხდება 1- ლი ინსტანციის სასამართლოში. თქვენ არ აღგინიშნავთ თქვენს შეკითხვაში, ექვემდებარებოდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას. თუ ექვემდებარებოდა, მაშინ სააღსრულებო სამსახური არ უნდა დაელოდოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებებს.

წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე და დასკვნები თავად გამოიტანეთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი: დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;

გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

ე) (ამოღებულია);

ე 1) უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ;

ვ) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;

ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება. (ძალადაკარგულია «ზ» ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სადავო ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, როდესაც მის შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება აღსრულების დაყოვნების შედეგად მიყენებულ ზიანს) — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/5/675,681 — ვებგვერდი, 11.10.2016წ.

11. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

2. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

3. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

**ახალგაზრდა ქალბატონი დაგილაგებთ ბინებს, ოფისებს, აგარაკებს, ფართებს ახალაშენებულ კორპუსებში, შესარულებს სხვადასხვა დამხმარე სამუშაოებს.**
**ტელ.: 558 737125. 558 45 5387 ანა**

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ახალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983